# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№71 (9902) 2025 წლის 19 მაისი, ორშაბათი


## „შერეკილების“ ახალი აღმაფრენა

## პაატა ბურჭულაძე და საქართველოს მომავალი

②



იქნებ ვინმე ალალმა გულშემატკივარმა ურჩიოთ ბატონ ბურჭულაძეს, სანამ დიდ პოლიტიკაში მისვლას გადაწყვეტდეს, ქართულ ენაზე წერა-კითხვა და ლაპარაკი ისწავლოს. მისი ნააზრევიდან გამომდინარე, ამას, სულ რაღაც, ოცდაათიოდე წელი დასჭირდება, მაგრამ ეს არაფერია, მარადიულად დამწყები პოლიტიკოსისთვის.



⑥

## მეგრელთა საქმე

## მდაბიო ოპოზიცია თავისას არ იშლის...

④





⑪

## „მითხარ, როგორაა მემლექეთი, ჩემი სანატრელი საქართველო“

ასი წლის ფრიდონ ხალვაში

### ირაკლი კობახიძე:

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ერთად დგას ერი და ბერი, ერთად დგას ეკლესია და ხელისუფლება და დღეს ერთად დგას ქართველი საზოგადოება ჩვენი ეროვნული, ტრადიციული ფასეულობებისა და ღირებულებების გარშემო.



## ოჯახის სიწმინდის დღე

## სახელმწიფო თუ ვართ, გამოსავალიც უნდა ვიპოვოთ!

④

## პუტინი უკრაინასთან ომით „დაიღალა“

⑧

### იბრაჰიმხალილი



⑨

## ჩემგან საუკეთესო საზი გამოითლება...

WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

**რასაც ახლა ვიტყვი, ალბათ ცოტა უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ახალი და დაუჯერებელი არაფერია. კიდევ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ორიოდე ტკბილი სიტყვის თქმას ერთი ძალიან სახელგანთქმული, დარბაისელი და პოლიტიკაზე შეყვარებული პერსონის შესახებ ვაპირებ.**

# პაატა ბურჭულაძე და საქართველოს მომავალი



**ჩვენ ვქმნით ერთ დიდ ალტერნატივას, რასაც ჰქვია „საქართველოს ხალხი საქართველოს დღევანდელი ე. წ. პარლამენტის წინააღმდეგ“. ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს, ე. წ. პარლამენტი თუ საქართველოს ხალხი.**

## „შერეკილების“ ახალი ალმაფრენა

**ე, ბიჭო, აუხსენით ვინმემ ამ მონდომებულ პოლიტიკოსს, რომ არჩევნები შეიძლება ჩატარდეს ელექტრონულად, უქაღალდებოდ. ტელეფონით კი შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მოსახლეობის გამოკითხვა ნებისმიერ თემაზე!**

**მგონი, არ მეჩვენება – მაისის შუა რიცხვებიდან ჩვენი დასავლელი „ისტორიული მეგობრების“ საქართველოსადმი მტრულმა დამოკიდებულებამ თითქოს ფერი იცვალა. საქართველოს პრემიერ ირაკლი კობახიძის ტირანაში, ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობის მეექვსე სამიტზე მიწვევა ამის დასტური უნდა იყოს. ისიც ყურადსაღებია, რომ მიწვევის ავტორი გახლდათ ევროპული საბჭოს პრეზიდენტი ანტონიო კოშტა. აღარაფერს ვამბობ პრემიერის შეხვედრებზე ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და თვით ევროკავშირის ლიდერებთან.**

**იმედია, არ ვცდები – იწყება დასავლეთის შემობრუნება საქართველოსკენ. ანუ ხდება ის, რაც უკვე ბევრჯერ იწინასწარმეტყველეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ობიექტურმა პოლიტიკურმა ანალიტიკოსებმა და ჟურნალისტთა ერთმა ნაწილმაც.**

მართალია, ირონიული კომენტარების თანხლებით და ცინიკური ტონით, მაგრამ მაინც, ეს მშობლიურმა რადიკალურმა ოპოზიციამაც აღიარა:

**„ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე 16 მაისს ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობის (EPC) სამიტს დაესწრო. მას თან ახლდნენ „ქართული ოცნების“ საგარეო საქმეთა მინისტრი მაკა ბოჭორიშვილი და „ქართული ოცნების“ მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ლევან ჟორჟოლიანი. „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრმა მონაწილეობა მიიღო მრგვალი მაგიდის ფორმატში გამართულ დისკუსიაში თემაზე „ევროპის უსაფრთხოება და დემოკრატიული მდგრადობის გაძლიერება“.**

იმედია, ყურადღება მიაქციეთ, რომ ამ ყოვლად უნიჭო ცინიზმის ავტორების ინტერპრეტაციით, ირაკლი კობახიძე ყოფილა არა საქართველოს, არამედ „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი, მაკა ბოჭორიშვილი – „ქართული ოცნების“ საგარეო საქმეთა მინისტრი, ლევან ჟორჟოლიანი – „ქართული ოცნების“ მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი!

**ანუ უკვე აშკარად ბნელეთიდან მართული საქართველოში მოქმედი პოლიტიკური „ოპოზიცია“ თუნდაც ამ პატარა ინფორმაციით თავის მხარდამჭერებს, ყველა მკითხველს კიდევ ერთხელ ჯიუტად უმეორებს, რომ საქართველოს მართავს არა კანონიერი, არამედ თვითმარქვია, ბანდიტური ხელისუფლება. მეტიც – ამ სიტყვების კოლექტიური ავტორის აზრით, საქართველოს მოსახლეობა, უკლებლივ ყველა (ოპოზიციის ჩათვლით!) არის გონებაჩლუნგი.**

ვწუხვარ, მართლაც გულწრფელად ვწუხვარ, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას – სამშობლოს გადარჩენის დაუოკებელი წყურვილი რომ გვერდზე გადავდოთ, ეტყობა, გუშინდელ მსოფლიო ბანს, პაატა ბურჭულაძეს, ამ აშკარად გარედან ნაკარნახევი მავნებლური დემაგოგიისა უსიტყვოდ სჯერა. ალბათ ამის ბრალია, თავის გამოჩენისა და, რა თქმა უნდა, სამშობლოს გადარჩენის დაუოკებელი წყურვილით, მშობლიურ პოლიტიკურ არენაზე კიდევ ერთხელ გამოსვლას რომ ცდილობს.

**სანამ ბურჭულაძურ პოლიტიკურ წიაღსვლებზე ვისაუბრებდეთ, მოდი, ოდესღაც ამ მართლაც დიდებული მომღერლის წარსული გავიხსენოთ.**

**მაშ ასე, დაიბადა 1955 წლის 12 თებერვალს, თბილისში. დაამთავრა თბილისის კონსერვატორია და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. როგორც განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულმა ადამიანმა, თავი ჯერ კიდევ სტუდენტობისას გამოიჩინა.**

**1978-1980 წლებში სტაჟირება გაიარა იტალიაში, მილანის თეატრ „ლა სკალაში“; 1981 წლიდან იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტი; 1985 წლიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ავსტრიაში; შესრულებული აქვს შემდეგი პარტიები: ტარიელი (თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“), მაკარი (დოლიძის „ქეთო და კოტე“), მარკიზი (ყანჩელის „და არს მუსიკა“), მეფისტოფელი (ბოიტოს „მეფისტოფელი“), მეფისტოფელი (გუნოს „ფაუსტი“), მეფე რენე (ჩაიკოვსკის „იოლანტა“), ბორისი, დოსიფეი (მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“), ლეპორელო (მოცარტის „დონ ჟუანი“), დონ ბაზილიო (როსინის „სევილიელი დალაქი“); როლები ვერდის ოპერებში; მუსორგსკის, რახმანინოვის და სხვათა რომანსები. თანამშრომლობდა მსოფლიოს მრავალ გამოჩენილ დირიჟორთან (კარაიანი, აბადო, მააზელი, გეტა, მუტი, ჯულენი...).**

**დიდი მოკრძალებით ისიც უნდა ვთქვა, რომ მრავალი წლის განმავლობაში, როგორც მუსიკოსს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის მუსიკალურ წრეებთან და პირადად პრეზიდენტ პუტინთან.**

**1998 წელს მისი ინიციატივით და მონაწილეობით თბილისში გაიმართა საოპერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „ბრავო“.**

**მიღებული აქვს უამრავი საერთაშორისო და საქართველოში არსებული თითქმის ყველა ჯილდო. მათ შორის, ღირსების ორდენი; რუსთაველის, გოგებაშვილის, ფალიაშვილის, საქართველოს სახელმწიფო პრემიები; არის თბილისისა და ფილადელფიის საპატიო მოქალაქე...**

**იმის თქმა მინდოდა, რომ მუსიკოს პაატა ბურჭულაძის დამსახურება მშობელი ქვეყნის წინაშე უყურადღებოდ არ დარჩენილა.**

**2015 წლის ნოემბერში დააფუძნა ორგანიზაცია „საქართველოს განვითარების ფონდი“, რომლის მიზანი იყო „ქვეყნისთვის აქტუალური საკითხების განხილვა და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე დემოკრატიული ძალების კონსოლიდაცია“; დააარსა მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“, რომელმაც მონაწილეობა მიიღო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში (სამწუხაროდ, – წარუმატებლად); დააარსა საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“, რომლის „მოღვაწეობა“ დღემდე შავ ლაქად ადევს მის ავტორიტეტს.**

**იქორწინა ოთხჯერ, აქედან ორჯერ – ერთ ქალბატონზე. ჰყავს სამი შვილი.**

**აი, ეს მსოფლიო მასშტაბის მუსიკოსი უკვე ცხრა წელიწადია ჯიუტად ცდილობს ევროპის განაპირა პატარა და ღარიბი ქვეყნის პოლიტიკურ ელიტაში აღზევებას.**

ახლა ამ დიდი მომღერლის ნააზრევიც ვნახოთ და მერე ვიფიქროთ, აქვს თუ არა რაიმე პერსპექტივა მის პოლიტიკურ აკვიატებებს. ეს გახლავთ პოლიტიკოს ბურჭულაძის განცხადება 15 მაისს მის მიერვე ორგანიზებული ერთ-ერთი შეხვედრის შემდეგ. ვერ გეტყვით, კერძოდ, რა საკითხები განიხილეს, მაგრამ შეხვედრის საერთაშორისო მნიშვნელობაზე მისი მონაწილეების მოკლე ჩამონათვალიც მიუთითებს: თაკო ჩარკვიანი, ლევან ხაბეიშვილი, ზურაბ ჯაფარიძე, გიორგი ვაშაძე, გია ბუღაძე, პაატა მანჯგალაძე და თვით კობა ხაბაზიც კი.

**აი, რას ბრძანებს „პოლიტიკოსი“ ბურჭულაძე ჟურნალისტების წინაშე:**

**„გვინდა შედგეს აუცილებლად ნამდვილი არჩევნები და არა ის ცრუ არჩევნები, რომლებიც ტარდებოდა აქამდე. ჩვენ გვაქვს ბევრი ვარიანტი, რომ ჩვენ თვითონ ჩავატაროთ ეს არჩევნები. არ შეიძლება ასე გაგრძელება, ჩვენს თანამებრძოლებს უკვე ნელ-ნელა ციხეც ემუქრებათ, რადგან ცრუ კომისიაა, ცრუ დადგენილებას იღებს და ცრუ მოსამართლეებმა უნდა ჩასვან ციხეში. ამის დაშვება არ შეიძლება. ამიტომ ჩვენ ვქმნით ერთ დიდ ალტერნატივას, რასაც ჰქვია „საქართველოს ხალხი საქართველოს დღევანდელი ე. წ. პარლამენტის წინააღმდეგ“. ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს, ე. წ. პარლამენტი თუ საქართველოს ხალხი.**

მიდის მსჯელობაც, როგორ უნდა ჩავატაროთ არჩევნები. ასეთი დევიზი იქნება, რომ არ ჩაგატარებინებთ ცრუ არჩევნებს. ჩვენ ვართ ხალხი, ჩვენია ეს ქვეყანა და ჩვენ უნდა ჩავატაროთ ყველაფერი, რაც ამ ქვეყანას დადებითად სჭირდება. სამართლებრივად ძალი-



**„ნამდვილი პრეზიდენტი“ სალომე ზურაბიშვილი რომ დროებით გვერდზე გადავდოთ, ბურჭულაძე სავსებით სერიოზულად ამასაც ამბობს: „ჩვენ გვყავს ის მთავრობა, ჯერ კიდევ უზენაესი საბჭო, რომელიც არავის არ გაუუქმებია. ეს არის ზვიად გამსახურდიას მთავრობა, რომელმაც მოიყარა თავი და ისიც გვერდით გვიდგას“.**

ან კარგად წარმომიდგენია. ჩვენ გვყავს ნამდვილად არჩეული პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილის სახით. ჩვენ გვყავს ის მთავრობა, ჯერ კიდევ უზენაესი საბჭო, რომელიც არავის არ გაუუქმებია. ეს არის ზვიად გამსახურდიას მთავრობა, რომელმაც მოიყარა თავი და ისიც გვერდით გვიდგას.

რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, არავინ არ ჰყავს, თვითონ დაინიშნა თავისი თავი. შეიძლება, ვინმეს გაეცინოს, რომ ტელეფონებით, თუმცა ესტონეთში უკვე ამის კარგი პრაქტიკაა და ჩვენ გადმოღებას ვაპირებთ. ტელეფონი არ გაჟონავს, როგორც ჟონავს „ქართული ოცნების“ ქაღალდი და ტელეფონებით ვაპირებთ ამის გაკეთებას. გვაქვს ვარაუდი, რომ არჩევნები ამ სექტემბერში ჩატარდება. რუსთაველის გამზირის ხალხიც არის აქ და ჩვენ აქედან გავდივართ.

ისინი მზად არიან, რომ გავიდეთ რეგიონებში და ყველა მოვიყვანოთ ამ აზრებთან ახლოს. პარტიები როგორ შეიკრიბებიან, როგორი კოალიცია იქნება, ეს მათი გადასაწყვეტია. დღეს ჩვენ არ ვთხოვთ პარტიებს, რომ გაერთიანდნენ ერთ დიდ პარტიად, ჩვენ ვთხოვთ გაერთიანდნენ ჩვენი იდეის გარშემო, რასაც ჰქვია ეს შეხვედრები“.

მოდი, ნუ ვილაპარაკებთ ისეთ უკვე მეტისმეტად გაცვეთილ და ანეკდოტურ თემებზე, როგორიცაა „ცრუ არჩევნები“, „ცრუ (საარჩევნო) კომისია“, „ცრუ ხელისუფლება“, „ცრუ დადგენილებები“, „ცრუ მოსამართლეები“, „ლეგიტიმური პრეზიდენტი ზურაბიშვილი“ და ა. შ. მთავარი ის გახლავთ, რომ მისი ამ გამოსვლიდან გამომდინარე, ბურჭულაძეს ქართველი ხალხი რუსთაველის პროსპექტზე დროშების მოფრიალე, ქვასროლია და ენაბილწი უსაქმურები ჰგონია. ანუ სოლიდური ასაკის მრავლისმნახველი კაცი ერთმანეთში ურევს აბსოლუტურად განსხვავებულ ცნებებს – „ბრბო“ და „ხალხი“. ამიტომაცაა, რომ იმუქრება, ჩემია ეს ქვეყანა, არჩევნებს არ ჩაგატარებინებთ, ყველაფერს მე თვითონ გადავწყვეტო.

„ნამდვილი პრეზიდენტი“ სალომე ზურაბიშვილი რომ დროებით გვერდზე გადავდოთ, ბურჭულაძე სავსებით სერიოზულად ამასაც ამბობს:

**„ჩვენ გვყავს ის მთავრობა, ჯერ კიდევ უზენაესი საბჭო, რომელიც არავის არ გაუუქმებია. ეს არის ზვიად გამსახურდიას მთავრობა, რომელმაც მოიყარა თავი და ისიც გვერდით გვიდგას“.**

მიჭირს დაჯერება, მაგრამ მისი ამ სიტყვებიდან გამომდინარე, ეს ვადაგასული პოლიტიკოსი ხელისუფლების სათავეში ხელისუფლებიდან 35 წლის წინათ სახელმწიფო გადატრიალების გამო წასული მურმან ომანიძის, გოგი ხოშტარიას, ბესარიონ გუგუშვილის და სხვათა აღზევებას აპირებს. რა თქმა უნდა, საქართველოს პირველი პრეზიდენტის მეუღლის მანანა არჩვაძის თამადობით. მით უფრო, ქალბატონმა მანანამ ჯერ კიდევ 1992 წელს განაცხადა, რომ შექმნა მარადიული მთავრობა თავისივე თავმჯდომარეობით!

**თუ ბატონი ბურჭულაძე პოლიტიკური თამაშით გაერთო და გადააჭარბა, ან, უბრალოდ, ყოფილი „ზვიადისტი“ ამომრჩევლების მოღორებას და თავისკენ გადაბირებას ცდილობს, ჯანდაბას – მორალი და პოლიტიკა ხომ ერთმანეთთან მაინცდამაინც ვერ მეგობრობენ. ხოლო თუ თავისი სიტყვებისა მართლაც სჯერა, მაშინ მაღალი დონის ფსიქიატრიული კვლევა სჭირდება.**

**თანაც, მე და ჩემი „ხალხი“ სექტემბრის თვეში ალტერნატიული არჩევნების ჩატარებას ესტონური მოდელით, ტელეფონებით ვაპირებთო! ე, ბიჭო, აუხსენით ვინმემ ამ მონდომებულ პოლიტიკოსს, რომ არჩევნები შეიძლება ჩატარდეს ელექტრონულად, უქაღალდებოდ. ტელეფონით კი შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მოსახლეობის გამოკითხვა ნებისმიერ თემაზე. მაგალითად, ჟონავს თუ არა თქვენი ტელეფონი? არის თუ არა გოგი ხოშტარია გენიოსი? დაფრინავს თუ არა პაატა ბურჭულაძე? რას ნიშნავს გამოთქმა „გავერთიანდეთ ჩვენი იდეის გარშემო, რასაც ჰქვია ეს შეხვედრები“...**

**მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ იქნებ ვინმე ალალმა გულშემატკივარმა ურჩიოთ ბატონ ბურჭულაძეს, სანამ დიდ პოლიტიკაში მისვლას გადაწყვეტდეს, ქართულ ენაზე წერა-კითხვა და ლაპარაკი ისწავლოს. მისი ნააზრევიდან გამომდინარე, ამას სულ რაღაც ოცდაათიოდე წელი დასჭირდება, მაგრამ ეს არაფერია, განსაკუთრებით, მარადიულად დამწყები პოლიტიკოსისთვის.**



**თეიმურაზ ქორიძე**

18. 05. 2025

## ილია მეორე:

# რომის საყდარი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ძმების — პეტრე და ანდრია მოციქულების დაარსებულია!



**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ლეო XIV-ს რომის პაპად არჩევას ულოცავს.**

**„თქვენო უწმინდესობავ, გულითადად გილოცავთ რომის პაპად თქვენს არჩევას. ეს თქვენი პიროვნების დიდი დაფასებაცაა და თქვენზე დიდი პასუხისმგებლობის დაკისრებაც. ჩვენს წინააღმდეგობებით სავსე ურთულეს დროში თქვენი მხარდაჭერა ჭეშმარიტი ღირებულებების დასაცავად, თქვენი შემართება და სიმტკიცე ფრიად მნიშვნელოვანი იქნება მთელი მსოფლიოსათვის.**

**როდესაც შევხვდი მის უწმინდესობას, პაპ ფრანცისკეს, მაშინაც აღვნიშნე და კვლავ გავიმეორებ, რომ რომის საყდარი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ძმების – პეტრე და ანდრია მოციქულების დაარსებულია, რაც დღესაც ჩვენ შორის ურთიერთობებს გამორჩეული პატივისცემით მსჭვალავს.**

**მიიღეთ ჩვენი საუკეთესო სურვილები. შევთხოვ უფალს, წარმატებულ-ჰყოს თქვენი მოღვაწეობა არა მარტო კათოლიკური სამყაროსათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვისაც“.**

# მიხეილ ყაველაშვილი ვატიკანში ახალი რომის პაპის ლეო I -ის ინაუგურაციას დაესწრო

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ ყაველაშვილის თვითმფრინავი „ჩამპინოს“ სამხედრო აეროპორტში დაეშვა, სადაც მისი დახვედრის ცერემონია გაიმართა.**

მიხეილ ყაველაშვილი 18 მაისს მეუღლესთან ერთად, ვატიკანში რომის ახალი პაპის ლეო XIV-ის ინაუგურაციას დაესწრო.

**საქართველოს პრეზიდენტთან ერთად, დელეგაციაში იყვნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაკა ბოჭორიშვილი, ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის მმართველი, საქართველოს საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობების განყოფილების თავმჯდომარე, მიტროპოლიტი გერასიმე და თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი, სიონის საკათედრო ტაძრის წინამძღვრის მოადგილე, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე.**



# ირაკლი კობახიძე: ჩვენი პასუხისმგებლობაა, დედაეკლესიის მხარდამხარ ვიბრძოლოთ ღირებულებების დასაცავად

**მინდა, ყველას მოგცეთ პირობა საქართველოს მთავრობის სახელით, რომ ხელისუფლება ბოლომდე იდგება ჩვენი ტრადიციული ფასეულობებისა და ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე. გილოცავთ დღევანდელ დღეს,** – ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** სამების საკათედრო ტაძარში შეკრებილ საზოგადოებას, სადაც ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღისადმი მიძღვნილ პარაკლისს დაესწრო.

პრემიერმა ხაზი გაუსვა ქართველი საზოგადოების ერთიანობის მნიშვნელობას ტრადიციული ღირებულებებისადმი და აღნიშნა, რომ არიან ძალები, რომლებიც უპირისპირდებიან ამ ყველაფერს, ქმნიან ყალბ იდეოლოგიებსა და ფასეულობებს და ხელისუფლების ვალია, დედაეკლესიის მხარდამხარ იბრძოლოს ეროვნული ფასეულობების დასაცავად.

**„ყველას გილოცავთ დღევანდელ დღეს, ყველას გილოცავთ ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღეს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ერთად დგას ერი და ბერი, ერთად დგას ეკლესია და ხელისუფლება და დღეს ერთად დგას ქართველი საზოგადოება ჩვენი ეროვნული, ტრადიციული ფასეულობებისა და ღირებულებების გარშემო.**

**მინდა, მადლობა გადავუხადო უწმინდესსა და უნეტარესს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, რომელმაც დააწესა ეს უმნიშვნელოვანესი დღე ჩვენს ქვეყანაში. მინდა, მადლობა გადავუხადო საპატრიარქო ტახტის მოსაყდრეს, მეუფე შიოს, რომელიც დღეს მიუძღვებოდა ამ უძვირფასეს მსვლელობას“.**

## შალვა პაპუაშვილი:

# 17 მაისი იქცა ღირსების, ოჯახის, სიყვარულისა და ერთობის დღედ!



**უახლეს ისტორიაში 17 მაისი ქცეული იყო დაყოფის, შუღლის გაღვივების და ერის გახლეჩის დღედ, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და ერის ერთსულოვნებით, ეს დღე იქცა ერის მთლიანობის, მისი უმთავრესი ფასეულობების, სიწმინდის, ღირსების, ოჯახის, შვილების, სიყვარულისა და ერთობის დღედ!**

როგორც პაპუაშვილი აღნიშნავს, ჩვენი ქვეყანა და ხალხი არასდროს გახდება გამოგონილი იდეოლოგიების მსხვერპლი.

**„ეშმაკი ჰყოფს, ღმერთი კი ამთლიანებს. 17 მაისი ჩვენს უახლეს ისტორიაში ქცეული იყო დაყოფის, შუღლის გაღვივების და ერის გახლეჩის დღედ, რომლისთვისაც ნავთის მისხმა არ ეზარებოდა არაერთ გარე თუ შიდა ავანტიურისტს.**

**პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და ერის ერთსულოვნებით, ეს დღე იქცა ერის მთლიანობის, მისი უმთავრესი ფასეულობების, სიწმინდის, ღირსების, ოჯახის, შვილების, სიყვარულისა და ერთობის დღედ“.**



# ხერხი სჯობია ღონესა...

## გია აბაშიძე: მდაბიო ოპოზიცია თავისას არ იშლის...

საქართველოს პრემიერის ევროპულ-პოლიტიკური გაერთიანების სამიტზე ოფიციალურ და არაოფიციალურ ფორმატში კომუნიკაცია 30-მდე ევროპელ ლიდერთან შედგა. ოპოზიციის რიტორიკა იმის შესახებ, რომ პრემიერი შემთხვევითი სტუმარი იყო და მას არავინ დაელაპარაკებოდა, გაბათილდა. მმართველ გუნდში ამბობენ, რომ პრემიერის შეხვედრებმა სამიტზე გააქარწყლა ოპოზიციის რიტორიკა, თითქოს ხელისუფლება არალეგიტიმურია და მას დასავლეთში არავინ ელაპარაკება.

ემანუელ მაკრონსა და ირაკლი კობახიძეს შორის კომუნიკაცია ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობის სამიტის ოფიციალური ნაწილის დაწყებამდე შედგა. საფრანგეთის პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრთან საკუთარი ინიციატივით მივიდა. პერსონალური კომუნიკაციის დროს მაკრონი კობახიძეს რამდენჯერმე დაუბრუნდა.

**საფრანგეთის პრეზიდენტის გარდა, არაოფიციალურ ფორმატში საუბარი საქართველოს მთავრობის მეთაურსა და თურქეთის პრეზიდენტს შორისაც გაიმართა. სამიტის პროტოკოლით გათვალისწინებული საერთო ფოტოს გადაღების დროს კომუნიკაცია შედგა პოლონეთის პრემიერ-მინისტრთან, ასევე ევროკავშირის წარმომადგენელთან საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში, კაია კალასთანაც.**

ევროპული პოლიტიკური გაერთიანების სამიტის ფარგლებში პრემიერ-მინისტრმა მონაწილეობა მიიღო მრგვალი მაგიდის ფორმატში გამართულ შეხვედრაშიც, სადაც საუბარი „ევროპის უსაფრთხოება და დემოკრატიული მდგრადობის გაძლიერებას“ ეხებოდა. დისკუსიის გახსნამდე ლიდერებმა ეს შეხვედრაც ერთმანეთთან მორიგი კომუნიკაციისთვის გამოიყენეს. ამ შემთხვევაში პერსონალური საუბარი პრემიერ-მინისტრსა და ევროპარლამენტის თავმჯდომარეს შორის შედგა.

ტირანაში ოფიციალურ და არაოფიციალურ ფორმატში კომუნიკაცია 30-მდე ევროპელ ლიდერთან შედგა. პრემიერმა მედიასთან თქვა, რომ ყველა შემთხვევაში საუბარი საქართველოსთვის აქტუალურ და პრიორიტეტულ საკითხებს შეეხებოდა. ირაკლი კობახიძე სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრსა და სერბეთის პრეზიდენტსაც ესაუბრა. ალექსანდრ ვუჩიჩი ირაკლი კობახიძესთან შეხვედრას სოციალურ ქსელში გამოეხმაურა.

ირაკლი კობახიძესთან კომუნიკაციის შესაძლებლობაზე ისაუბრა ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმაც. ალენ ბერსემ ამის შესახებ ტირანაში მყოფ ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა. მედიასთან კომენტარი გააკეთა სომხეთის პრემიერ-მინისტრმაც.

**„როგორც პრეზიდენტ მაკრონთან, ისე რობერტა მეცოლასთან და სხვა ლიდერებთან, გვქონდა საუბარი იმ თემებზე, რაც შეეხება საქართველოს განვითარებას, ევროპულ პერსპექტივას და ჩვენს როლს რეგიონში“**, – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

მთავრობის მეთაურის თქმით, მან პოლიტიკურ ლიდერებს გაუზიარა გზავნილები საქართველოს ინტერესებთან დაკავშირებით.



ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** for.ge-თან ამბობს, რომ საქართველოს პრემიერის ირაკლი კობახიძის მე-6 მონაწილეობა ევროპული სამიტის გაერთიანებაში, ისევე როგორც სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობა მსგავს საქმეებში, მიუთითებს იმაზე, რომ სახეზეა შერჩევითი პოლიტიკური გაბუტვა. ეს ყველაფერი კი მოგვარებადი და დასრულებადია.

**„ამის თქმის საფუძველს იძლევა ის ფაქტები, რაც ქვეყნის შიგნით ხდება. ევროკრატები ხედავენ, რომ რეალურად, მარგინალური ოპოზიციური ლიდერების მხრიდან სამარცხვინო პერფორმანსების ჩატარება არ ნიშნავს ხალხის ნების გამოხატულებას. საქართველო კი, როგორც დასავლეთის ერთგული პარტნიორი აგრძელებს მრავალმხრივ ურთიერთობას, იმისდა მიუხედავად, თუ ვინ დააწესებს სანქციებს, რა სამარცხვინო რეზოლუციებს მიიღებენ სააკაშვილის დასაცავად თუ ნაცრეჟიმის გამართლებისთვის.**

**ტირანას 16 მაისის სამიტზე ვიზუალურმა კადრებმა ნათლად აჩვენეს, რომ პრემიერი კობახიძე ვინმესკენ კი არ გარბოდა და უხტებოდა ევროპელ ლიდერებს, ოღონდ ხელი ჩამომართვითო, არამედ მჯდომარე კობახიძესთან ხელის ჩამოსართმევად მიდიოდნენ სხვადასხვა ლიდერები. მათ შორის მაკრონი, სხვადასხვა ევროპელი პოლიტიკოსები. ესაუბრებოდნენ კობახიძეს და მხოლოდ ხელის ჩამორთმევით არ იფარგლებოდნენ. იბადება შეკითხვა, თუნდაც პირად ურთიერთობაში ან ბიზნესს შეხვედრაზე, როცა ადამიანს სოციალურად აიგნორებ, არ გინდა მასთან კომუნიკაცია, რატომ უნდა მიხვიდე და გამოელაპარაკო? ამიტომ იმის მტკიცება ნაცოპოზიციის მხრიდან, რომ ეს არაფერს ნიშნავს და მხოლოდ 20-წამიანი საუბარი იყო, უფრო მეტად მეტყველებს იმაზე, რა მდაბიო აქტორები არიან ოპოზიციურ ფლანგზე“**, – ამბობს **აბაშიძე.**

მისივე თქმით, ოპოზიცია როცა უარყოფს „დიფ სთეითის“ არსებობას და ამაზე ქილიკობენ, რამდენიმე დღის წინ, აშშ-ს დაზვერვის ხელმძღვანელმა ქალბატონმა გაბარდმა, მისი უწყებიდან დაითხოვა რამდენიმე მაღალჩინოსანი იმ ბრალდებით, რომ ისინი „დიფ სთეითის“ აქტორები არიან.

**„რევანშისტების სამყარო, რადიკალური ოპოზიციის სახით, მხოლოდ რამდენიმე ტელესტუდიაშია, საიდანაც დეზინფორმაციის და ტყუილების მეტს არაფერს ამბობენ. ამიტომ შეეშვან იმ თემებზე საუბარს, რომელიც ნაცოპოზიციიდან უმეტესობას არ ესმის. თავს ნუ იბრიყვებენ, რომ სექტის ინსტრუქციებს უნდა მიჰყვნენ. კომუნიკაცია ცალკეული ევროპელების მხრიდან გაგრძელდება და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება. მიუხედავად იმისა, რომ გაგვებუტნენ, საქართველოსთან ევროპას და მის ლიდერებს ურთიერთობა სჭირდებათ. მათ შორის უსაფრთხოების და სამართალდამცავთა ურთიერთობის კოორდინაციის კუთხით. ამიტომ ნაცრადიკალების ჟრიამული ძალიან ნაადრევია“**, – ამბობს **აბაშიძე.**

მისივე თქმით, ძალიან სწორი და უპრეცედენტო გადაწყვეტილება იყო, როცა პრემიერმა კობახიძემ ამერიკის პრეზიდენტს ტრამპსა და ვიცე-პრეზიდენტ ვენსის ღია წერილით მიმართა.

**„ასევე ძალიან ზუსტი იყო პარლამენტის მიერ „მეგობარი აქტის“ საპასუხო განცხადების მიღება. ეს არის ანტიმეგობრული, დეზინფორმატორული აქტი. ასევე, აღსანიშნავია, ალენ ბარსესს განცხადება, რომ საქართველოსთან დიალოგი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. ამიტომ ევროპის საბჭოს ორგანიზაციის ამხელა დირექტორი როცა მოუწოდებს თავის კოლეგებს და ევროპელ ლიდერებს, რომ საჭიროა საქართველოსთან ურთიერთობა, ეს ძალიან ყურადსაღებია. თუმცა აქაც გამოჩნდა ჯამბაზი პოლიტიკოსების განცხადება ნაცრადიკალი ოპოზიციიდან, რომ თურმე ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ვითომ ბიძინა ივანიშვილმა მოისყიდა. აი, ასეთ მდაბიო დონემდე არიან დასულები“**, – ამბობს **აბაშიძე.**

**ლიკა ბერიკაშვილი**

---

**ეს ჩვენი ვარდობის მაისი რა მტირალა და განსაკუთრებით ცრემლიანი მოგვევლინა წელს! თუმცა რა გასაკვირია, ბუნება გაცილებით მგრძნობიარეა, ვიდრე ადამიანი. ქვეყანაზე მშვიდობის დამყარების მოლოდინში მყოფთ, კიდევ უფრო გაგვირთულეს „ომის პარტიელებმა“ საქმე. ახლა პაკისტანი და ინდოეთი წამოეგო მათ მიერ გაჩაღებულ ავანტიურას. ეს აღმოსავლეთში, ხოლო მათგან ცოტა მოშორებით, ერთ დროს მეგობრობითა და მეზობლობით განთქმული ორი სახელმწიფო, ორი მოძმე ერი, უკვე მეოთხე წელია სისხლში ახრჩობენ ერთმანეთს, თავიანთი ხალხის ხოცვით ეგზალტირებულნი.**




# სახელმწიფო თუ ვართ, გამოსავალიც უნდა ვიპოვოთ!

**არადა, ამერიკის შეერთებული შტატების თავკაცი – ტრამპი, ჯერ კიდევ მანამ, სანამ პრეზიდენტი გახდებოდა, გვარწმუნებდა რუსეთ-უკრაინის ომს სათავეში მოსვლისთანავე დავამთავრებ, ჯერ ოცდაოთხ საათში, მერე ცხრა დღე თქვა და ასე შემდეგ, მაგრამ... ამასობაში მთავრდება უკრაინა და მშვიდობას კი პირი არ უჩანს!**

განსაკუთრებით გვაღელვებს ქართველებს ეს ამბავი, რატომ და რისთვის? – ყველამ ძალიან კარგად ვიცით, საქართველოში მშვიდობას ჩვენი მთავრობა, რომ იტყვიან – კბილებით იცავს, თორემ ვინ იცის, რა დაგვემართებოდა საკმაოდ მომრავლებული ქართველი ავანტიურისტების ხელში.

ჩემი სამშობლოს და ჩემი ხალხის ბედით დაინტერესებული, სხვებთან ერთად მეც ვარ და, როცა თვალს ვადევნებ ქართველთა ცხოვრების იმ სტილს და პროცესს, რომელიც ხელს უშლის და აყოვნებს ხალხის კეთილ მომავალს, მინდა ვიდგე იქ, სადაც საჭიროა! განა შეიძლება მშვიდად უსმინო „ცრუ სალომეს“ მოწოდებებს და უყურო გაბრიყვებული ხალხის წინ და უკან ხეტიალს? სალომემ და მისმა რაზმმა მოახერხეს და სულ სხვაგვარი საქართველო და მისი მთავრობა წარმოუდგინეს ამერიკისა და ევროკავშირის იმ პოლიტიკოსებს, რომელთაც მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდათ დღევანდელი ჩვენი ხელისუფლება. აქ კი, ნამდვილად სააკაშვილის დროინდელი ნავსია ჩადებული, სააკაშვილისა, რომელიც, რაღაც ახალ, სადისტურ სამყაროს აფუძნებდა საქართველოში და რატომღაც, დემოკრატიის შუქურად კი მიიჩნევდნენ დასავლეთელი პოლიტიკოსები. საუბედუროდ, ისინი დღემდე ვერ გამოსულან ამ უიღბლო ზღაპრიდან!

დღეს ისეა გართულებული მდგომარეობა, ისე ურევენ ტყუილს და მართალს ერთმანეთში, რომ თუ არა ხარ თავიდანვე გულმოდგინე მაყურებელი და დამკვირვებელი ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა, ნამდვილად გაჭირდება ავის და კარგის გარჩევა. მიზეზ-შედეგობრივი ლოგიკა რადიკალებში არ არსებობს. ისინი უკუღმა აზროვნებენ. თავს პატრიოტებად ასაღებენ მაშინ, როდესაც რომელიმე პარტიას კი არა, ქვეყანას ებრძვიან, ხალხს ავიწროებენ, ეკონომიკის წინსვლას აფერხებენ, ნამდვილ მტრებად გვევლინებიან. სახელმწიფოს ძალით დამხობის მოტივებით გამოსულ მომიტინგეებს ახალისებენ და ლამის საბრძოლო იარაღებითაც კი მოამარაგონ. ყველაფერ ამას კარგად ვხედავთ და საუბედუროდ, უძლურნი ვართ, ჩვენსავე ხალხს ხომ არ დავუპირისპირდებით? – არა და, ჩვენი მოთმინებით სარგებლობენ შინაური მტრები, იგივე რადიკალები – გააყალბეს არჩევნებიო და რას არ გვაბრალებენ! და ევროკავშირისა და ამერიკის პოლიტიკოსთა წინაშე საქართველოს მთავრობა ანტიდემოკრატიულად შერაცხეს! იმათაც რომ დაიჯერეს?

გასაკვირია ეს ყველაფერი და გვიკვირს კიდევაც. თუმცა ეს გამოსავალი რო-



# ბიოორგანული ქიმიის ფუძემდებელი საქართველოში

**აკადემიკოს რამაზ გახოკიძის სამეცნიერო მოღვაწეობა კარგად არის ცნობილი როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ. იგი საკმაოდ ფართო სპექტრის სამუშაოებს ეწევა. ეს სამუშაოები ძირითადად მოიცავს ბიოლოგიურ აქტიურ ნივთიერებათა მიღებას, ბუნებრივი ნედლეულიდან მათ გამოყოფას და ეკოლოგიურად სუფთა ახალი აგროტექნოლოგიების დამუშავებას.**

**ორგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, აკადემიკოსმა რ.გახოკიძემ საფუძველი ჩაუყარა ნახშირწყლების ახალი ტიპის რეაქციების შესწავლას და მათ საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო და სამედიცინო დანიშნულების ეკოლოგიურად სუფთა მაღალი ფიზიოლოგიური აქტიურობის მქონე ნივთიერებათა მიღებას.**

აკადემიკოსმა რ. გახოკიძემ აღმოაჩინა ნახშირწყლების მოლეკულურ გადაჯგუფებათა ახალი ტიპი, რომელიც „გახოკიძის რეაქციით“ არის ცნობილი. მის საფუძველზე ფორმულირებულ იქნა ბუნებრივ პირობებში ორგანულ მჟავათა წარმოქმნის ალტერნატიული სქემები, რომლებიც ქიმიურ ინტერესთან ერთად, უკანასკნელ ხანს ბიოლოგების კვლევის ობიექტებადაც იქცა.

დიდ პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს აკადემიკოს რ.გახოკიძის მიერ დამუშავებული ძნელად ხელმისაწვდომი და ძვირადღირებული ნივთიერებების: გენის, საგულე გლიკოზიდების, ანტიბიოტიკების კომპონენტების, მიკროელემენტების (სილიციუმი, გოგირდი, სელენი, ბრომი, კალა) შემცველი ნახშირწყლების, C-ვიტამინის წარმოებულებისა და მრავალი ჰეტეროციკლური და არანაჯერი ნაერთის სინთეზის მეთოდების დამუშავება, საქართველოში გავრცელებულ ზოგიერთ მცენარეში პოლისაქარიდების შემცველობისა და მათი ბიოლოგიური აქტიურობის შესწავლა. მნიშვნელოვანი კვლევები აქვს მას ჩატარებული ეკოლოგიურ პრობლემებზეც.

ბოლო პერიოდის გამოკვლევებით დადგინდა, რომ აზოტის ოქსიდი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს რეგულატორს და მედიატორს ნერვული, იმუნური და გულ-სისხლძარღვთა სისტემების პროცესებში. აზოტის ოქსიდი მაღალტოქსიკური აირადი ნივთიერებაა, რის გამოც შეუძლებელია მისი პირდაპირი გამოყენება. აზოტის ოქსიდის ბუნებრივი გარდაქმნა ორგანიზმში უდიდეს როლს ასრულებს არტერიული ჰიპერტენზიის, გულის უკმარისობის, შაქრიანი დიაბეტის, ინსულტის, ერექციული დისფუნქციის, ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობის საქმეში. რ.გახოკიძემ თანამშრომლებთან ერთად შეძლო აზოტის ოქსიდის დონორებისა და გადამტანების მიღება, რითაც შესაძლებელია ორგანიზმის ნორმალურ მეტაბოლიზმში მათი ჩართვა.

ფუნდამენტური კვლევების საფუძველზე აკადემიკოსმა რ.გახოკიძემ ჩამოაყალიბა ორიგინალური კონცეფცია, რომლის თანახმად, ნიადაგის შხამებით გაბინძურების გარეშე, მცენარეთა სარეზერვო მექანიზმების გააქტიურებით, შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ეკოლოგიურად სუფთა, უხვი მოსავლის მიღება. აღნიშნული მიმართულებით ჩატარებული გამოკვლევებით აკადემიკოსმა რ.გახოკიძემ საფუძველი ჩაუყარა ახალ სამეცნიერო დისციპლინას – აგრობიოორგანულ ქიმიას, რომლის საფუძველზე დაამუშავა მცენარეული უჯრედის მართვის გზები, რაც ორგანიზმის პოტენციურ შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოვლენის საშუალებას იძლევა.

აკადემიკოსმა რ.გახოკიძემ შექმნა ბიოენერგოაქტივატორები, რომელთაც, მცენარეული ჰორმონებისა და სინთეზური სტიმულატორებისგან განსხვავებით, ახასიათებთ არა სპეციფიკური, არამედ პოლიფუნქციური აქტიურობა. ისინი მოქმედებენ როგორც მცენარეთა ზრდასა და განვითარებაზე, ასევე დაცვითი მექანიზმების გააქტიურებაზე, მორფოგენეზსა და გამრავლებაზე. მათი საშუალებით მნიშვნელოვნად მაღლდება მოსავლის ხარისხი. ბიოენერგოაქტივატორების გამოყენება წარმატებით შეიძლება მეცხოველეობაშიც. ისინი ზრდიან ფრინველებისა და ცხოველების გამძლეობას, ბიომასასა და პროდუქტიულობას. რაც მთავარია, პრეპარატები ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხოა. გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ბიოენერგოაქტივატორების გამოყენებით საქართველოში შესაძლებელი გახდა ისეთ უნიკალური კულტურების ფართოდ გავრცელება, როგორიცაა კივი და სტევია. ბიონერეგოაქტივატორების ერთ-ერთ წარმომადგენელს – „ბიორაგს“ ფართოდ იყენებენ საზღვარგარეთ. მაგალითად, იტალიაში, რომის ერთ-ერთ ხეივანს ამშვენებს ბიორაგით გამოყვანილი და გამრავლებული, წითელ წიგნში შესული ვერცხლისფერი ნაძვის უნიკალური ნარგავები.

აკადემიკოს რ.გახოკიძის მიერ მიღებულ ნაერთებს ასევე წარმატებით იყენებენ მედიცინასა და ბიოტექნოლოგიაში. ჩვენ მიერ სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში დადგენილია 12 ნივთიერების ფერმენტული აქტიურობის მარეგულირებელი თვისებები, რაც დიდ ინტერესს წარმოადგენს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით მრეწველობის სხვადასხვა დარგებისთვის. ჩემთვის კარგად არის ცნობილი, უკანასკნელ პერიოდში თუ როგორ დიდ ინტერესს იჩენენ უცხოეთის ცნობილი მეცნიერები და პრაქტიკოსები აკად. რ.გახოკიძის გამოკვლევების მიმართ.

აკადემიკოსმა რ.გახოკიძემ სამეცნიერო სტაჟირება გაიარა აშშ-ს უნივერსიტეტებში.

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მან დააარსა ბიოორგანული ქიმიის ლაბორატორია, შემდეგ ბიოორგანული ქიმიის კათედრა და ბიოორგანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი, რომელთაც დღემდე წარმატებით ხელმძღვანელობს.

აკადემიკოსი რ.გახოკიძე მაღალი ერუდიციისა და ფართო პროფილის მეცნიერია და მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქიმიისა და ბუნებისმეტყველების სხვა დარგების განვითარებაში, ხოლო მის მიერ მიღებულ პრაქტიკულ შედეგებს დიდი მნიშვნელობა გააჩნია კაცობრიობის ეკონომიკური განვითარების საქმეში. რ. გახოკიძე უბადლო ლექტორი და მეცნიერების პოპულარიზატორიცაა.

**სახელოვან ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს რამაზ გახოკიძეს ვულოცავ დაბადების დღეს და ვუსურვებ, კიდევ მრავალი ფუძემდებლური გამოკვლევით გაემდიდრებინოს მსოფლიო მეცნიერება ჩვენი ქვეყნის სასახელოდ.**

**გიორგი კვესიტაძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი**

---

დია. საქართველო, როგორც ევროკავშირისაკენ მიმავალი ქვეყანა, გაირიყა ევროპისაგან. ახლა ისინი მეგობრებად კი არა, უმწიფარ მოსწავლეებადაც კი არ გვთვლიან, ქცევებს გვიწუნებენ, ჭკუას გვარიგებენ და ხშირად სადამსჯელო სანქციებითაც კი გვსჯიან! უნდა ვაღიარო, რომ საქართველო არასახარბიელო მდგომარეობაშია! და არ დავუკვირდეთ, ანალიზი არ გავაკეთოთ, რატომ ხდება ეს ასე? რატომ გაგვრიყეს? მთავრობას არ ვურჩიოთ, რომ გადახედოს თავის დიპლომატიურ საქმიანობას, საგარეო პოლიტიკას... იქნებ და სადღაც სერიოზული შეცდომაა დაშვებული და გამოსასწორებელი გზებია საძებნი?

**დიახ, მხოლოდ შენი სიმართლის უსასრულო მტკიცებით ფონს რომ ვერ გავდივართ, ხომ ვხედავთ, თვალები არ გავუსწოროთ ამ სინამდვილეს? დაიზაფრა ხალხი, სახელმწიფო თუ ხარ, გამოსავალი უნდა ივოვო, თუ გინდა გამარჯვებული გუნდი იყო, გურთი უნდა გაიტანო, მთავარია გამარჯვების გოლი და არა მხოლოდ კარგი თამაში!**

დიახ, ვიცით, რომ დიდი გაიძვერა, ცბიერი და საშიში შინაური მტერი – რადიკალები ხშირად სხედან ხან სენატში, ხან ევროკავშირის ამა თუ იმ მნიშვნელოვან შეკრებებზე და მოღალატეობრივ საქმიანობას ეწევიან არა მხოლოდ მთავრობის, არამედ სამშობლოს წინაშე, მაგრამ იმასაც ხომ ვხედავთ, რომ გაუდით, მათ უჯერებენ! მიხედეთ, სანამ გვიან არ არის! დაანახეთ მსოფლიოს, რომ შემწყნარებლები, სამართლიანები ხართ. ჩვენ გვჯერა, რომ ნიჭიერები ხართ, მაგრამ, ახლა მარტო ნიჭი არ კმარა, ხერხია საჭირო!!!

ჩემო ძვირფასო მკითხველო, ქართველებო, მაპატიეთ, რომ ასე გავკადნიერდი, მაპატიეთ ასეთი საუბარი, მაგრამ სხვაგვარად ვერ შევძელი. ვგრძნობ, რომ რაღაც ხდება, ცუდზე ცუდი, უსამართლო, უმართებულო... განა გინახავთ სადმე, ქვეყანაზე ისეთი მთავრობა, საზოგადოებას, ხალხს, ყველას რომ ერთნაირად მოსწონდეს? არა, ხომ? ჩვენ – ადამიანები ცოდვილები ვართ, მთავრობაც ხომ ადამიანებისაგან შედგება, მეტ-ნაკლებად ცოდვილთაგან, მაგრამ, როდესაც ვხედავთ, რომ ჩვენს მთავრობას პატრიოტული გრძნობებით სურს ქვეყნისა და ხალხის წინსვლა (და ამას ვინც ვერ ხედავს, ეს ხომ მათი პრობლემაა!), რატომ არ უნდა დავუდგეთ გვერდით მას, რატომ უნდა გავამარჯვებინოთ შინაურ და გარეშე მტერს?

დღეს ყველაზე ძნელია იყო ნამდვილი მოქალაქე, იყო პატრიოტი და გსურდეს ძლიერი და გამარჯვებული სამშობლო, ძნელია ეს ბევრისთვის, მაგრამ ყველასთვის არა!

ადამიანებმა, ქართველებმა „ევროპის დღე“ საგანგებოდ იზეიმეს – ცხრა მაისს! ამ ზეიმით გადაფარეს ისტორიული ცხრა მაისის დღის ღირსება. საქართველოც ევროპად მოიაზრებს თავის თავს, ამ დღეს თუ ვიზეიმებთ, საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს, მაგრამ ჩვენი წინაპრების, სამასი ათასამდე საქართველოს მოქალაქის სისხლით მოტანილი გამარჯვება და ამ საკრალური დღის გულითადი აღნიშვნა, არასოდეს არ უნდა დაივიწყოს არც ერთმა ქართველმა – დიდმა თუ პატარამ!

მეორე მსოფლიო ომის შესახებ ფილმებს ფილმებზე ზედმიწევნით იღებენ ამერიკელები, უკვე ათეული წლებია მსოფლიოს უმტკიცებენ რწმენას, თუ როგორ მოიგეს მეორე მსოფლიო ომი, თუ როგორ დაამარცხეს ფაშიზმი... ვინ დაუკარგა მათ ეს დიდი ღვაწლი, მაგრამ 1941-დან 1943 წლამდე ფაშიზმთან ბრძოლაში წელში გაწყვეტილი, სისხლში მცურავი, მაგრამ მაინც მედგარი საბჭოთა კავშირი, მით უფრო საქართველო, ვის ახსოვს... განა ახლაც არ უნდა იქმნებოდეს მხატვრული ტილოები იმდროინდელ საგმირო საქმეებზე? რატომ არ უნდა იცოდეს ჩვენმა ახალგაზრდებმა ქართველი მებრძოლის მელიტონ ქანთარიას მიერ რაიხსტაგზე აფრიალებული გამარჯვების დროშა (და ბევრი სხვა რამ)!



**არავის არ ეპატიება ისტორიის გადაწერის მცდელობა, თუნდაც მტრის იყოს ეს ისტორია!**

**გულნარა სტურუა**

---




# კიდევ ერთი მსოფლიო ჯილდო ვანის არქეოლოგიურ მუზეუმს

**2024 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილისთვის, ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიური მუზეუმი კიდევ ერთი მსოფლიო ჯილდოს – The Best in Heritage – Project of Influence (მემკვიდრეობაში საუკეთესო – გავლენის პროექტი) მფლობელი გახდა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ევროპის 2023 წლის მუზეუმების პრემიისა და სილეტოს პრიზის მფლობელ ვანის არქეოლოგიურ მუზეუმს საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ ჯილდო გუშინ, მუზეუმების საერთაშორისო დღეს გადასცა!

ვანის მუზეუმმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა,როგორც გამორჩეულმა ცენტრმა, რომელსაც საზოგადოების საკეთილდღეოდ დადებითი ცვლილებების განხორციელების განსაკუთრებული პოტენციალი აქვს.

მოხალისეთა პროექტებისა და პროგრამების მეშვეობით მუზეუმი უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას სამუზეუმო ცხოვრებაში, რითაც ხელს უწყობს არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვას, შენარჩუნებასა და გაცოცხლებას.





# მეგრელთა საქმე

## ალეკო ასლანიშვილი

### მოსკოვში, სტალინის კარზე

**ცოტა ხანში საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეიცვალა. კანდიდ ჩარკვიანმა აშკარად ვერ გაამართლა, „მეგრელთა საქმეს“ ვერ მისცა ის ჟღერადობა და მასშტაბი, როგორსაც მისგან მოითხოვდნენ. მან ამ საკითხს ორი პლენუმი მიუძღვნა, მაგრამ საქმე, ფაქტობრივად, ადგილიდან არ იძვროდა.**

1952 წლის 25 მარტს საქართველოს კომპარტიის ცეკას მთელი ბიურო მოსკოვში გამოიძახეს. კანდიდ ჩარკვიანს სკპ(ბ) ცკ-ის პრეზიდიუმისთვის 1951 წლის 9 ნოემბრის დადგენილების შესრულების მდგომარეობა უნდა მოეხსენებინა.

სანამ მას სიტყვას მისცემდნენ, პრეზიდიუმის სხდომის თავმჯდომარემ გ. მალენკოვმა მოკლე შესავალი სიტყვა წარმოთქვა, ახსნა, თუ რით იყო გამოწვეული პრეზიდიუმის სხდომაზე საქართველოს ანგარიშის მოსმენა: რესპუბლიკის კომპარტიის ცეკაში მოხდა მსხვილი პოლიტიკური ჩავარდნა, საქართველოში მოქმედებდა მტრული ანტიპარტიული ჯგუფი, 1951 წ. 9 ნოემბრის დადგენილება, რომელიც საქართვლოს პარტიულ ორგანიზაციას ეხება, არადამაკმაყოფილებლად სრულდება.

კანდიდ ჩარკვიანმა საათზე მეტი ილაპარაკა. აღიარა, რომ საქ. კპ(ბ) ცკ-ში მართლაც მოქმედებდა ანტიპარტიული, მტრული ჯგუფი, პრეზიდიუმს მოახსენა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც გაატარეს პარტიული მუშაობის გადასაწყობად პარტიულ ორგანიზაციებში სიფხიზლის ასამაღლებლად, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში პარტიული ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცეკას ბიუროს წევრები, გამოვიდნენ პრეზიდიუმის წევრებიც. სიტყვა პირველმა ლ. ბერიამ ითხოვა. მან გაიმეორა ზოგადი ბრალდებები: საქართველოში ფართოდ გავრცელებულია მექრთამეობა, ხაზინის ქურდობა და საბჭოთა ყოფისთვის მიუღებელი სხვა მოვლენები. ანტიპარტიული ჯგუფი ხელს უწყობდა მათ გავრცელებას, მფარველობდა მექრთამეებსა და თაღლითებს. ბარამიას ხელმძღვანელობით მოქმედმა ანტიპარტიულმა ჯგუფმა შეფობა აიღო სამეგრელოს პროვინციაზე, ყოველნაირად აფარებდა ხელს თავისი კუთხის ხალხს. მეც დამნაშავე ვარ, განაცხადა მან, ამ ანტიპარტიული ჯგუფიდან ვიღაც-ვიღაცებს მე თვითონ გავუწიე რეკომენდაცია, მაგალითად, რაფავას კანდიდატურას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე და პასუხისმგებლობას არ ვიხსნი. ანტიპარტიული ჯგუფის დანარჩენი წევრები მე არ დამიწინაურებია. ბარამია ჩემს დროს პარტიის რაიკომის მდივნად მუშაობდა. მე მას ვიცნობდი როგორც სუსტ მუშაკს, ამის მიუხედავად, ის სულ ზევით-ზევით მიდიოდა და რაც უფრო წინ სწევდნენ, უფრო და უფრო იხრწნებოდა.

ბერიას ხმაში მრისხანება და აღშფოთება ისმოდა. დასასრულ განაცხადა, წინადადება შემომაქვს, ჩარკვიანი მოიხსნას საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის პოსტიდანო.

ბოლოს იოსებ სტალინი გამოვიდა. მან უდიდესი სირცხვილი უწოდა საქართველოში მექრთამეობის, ხაზინის ქურდობის, სოციალისტური საკუთრების დატაცების, საკოლმეურნეო ქონების განიავების აყვავებას. როცა ანტიპარტიული ჯგუფის საქმიანობას შეეხო, სტალინმა მიიჩნია, რომ „მეგრელთა საქმის “ გამოძიება საკმაო ენერგიულობით არ მიმდინარეობდა. მე მომახსენეს, თქვა მან, რომ ანტიპარტიული ჯგუფის მოთავე ბარამიამ და ყველა მისმა წევრმა აღიარეს დანაშაული და პატიებას ითხოვენ, ამის შესახებ მათ პირადად მომწერეს.

ი. სტალინმა არავითარი კომენტარი არ გაუკეთა პატიმართა ამ თხოვნას. მან მხარი დაუჭირა კანდიდ ჩარკვიანის განთავისუფლებას და მის ადგილზე აკაკი მგელაძის დანიშვნას.



კანდიდ ჩარკვიანი

გადაწყდა, რომ თბილისში ცენტრალური კომიტეტის პლენუმს ლავრენტი ბერია დასწრებოდა. პოლიტბიუროს 25 და 27 მარტის სხდომების შედეგად იშვა ახალი მრისხანე დოკუმენტი.

***სკპ(ბ) ცკ-ის 1952 წლის 27 მარტის დადგენილება***

***„საქართველოს კომპარტიაში საქმის მდგომარეობის შესახებ“ (სხდომის ოქმში დადგენილების სახელწოდება სტალინის ხელით არის ჩაწერილი)***

***„ხელმძღვანელობდა რა სკპ(ბ) ცკ-ის 1951 წლის 9 ნოემბრის დადგენილებით „საქართველოში მექრთამეობისა და ამხ. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“, საქართველოს კპ(ბ) ცკ-მა ზოგიერთი დადებითი მუშაობა გასწია ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.***

***მაგრამ განვლილ პერიოდში კპ(ბ) ცკ-ში შემოვიდა სერიოზული სიგნალები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის მუშაობაში შეცდომების და ნაკლოვანებების გამოსწორების საქმე მძიმედ, ჭრიალით, არადამაკმაყოფილებლად მიდის, რომ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში და არაპარტიულთა შორის უკმაყოფილებას გამოთქვამენ ბარამიას მტრული დაჯგუფების საქმიანობის შედეგების ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის ზოზინის გამო.***

***იმავდროულად, გამოძიების მსვლელობისას გამოირკვა, რომ როცა ხელმძღვანელ თანამდებობებზე არჩევდა შებღალული რეპუტაციის და ანტიპარტიულ ადამიანებს, ხანდახან კი უბრალოდ გაიძვერებსა და მექრთამეებს, რათა თავის განკარგულებაში ჰყოლოდა სრულიად დამჯერი ხალხი, ბარამიას ჯგუფი (ბარამია, ჭიჭინაძე, შარია, რაფავა, შონია და სხვ.) მიზნად ისახავდა საქართველოს კომპარტიაში ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციას. ამ დროს იგი უცხოელი იმპერიალისტების მხრიდან დახმარებას იმედოვნებდა.***

***ამ გარემობათა გამო საკავშირო კპ(ბ) ცკ-ის წინაშე წამოიჭრა საკითხი: 1. როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ საქართველოს კპ(ბ) ცკ-მა და, უპირველეს ყოვლისა, მისმა პირველმა მდივანმა ამხ. ჩარკვიანმა ვერ შეამჩნიეს პარტიისა და ქართველი ხალხის მიმართ უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში მტრულად მოქმედი ბარამიას ჯგუფის არსებობა? თანაც, როგორც ჩანს, ბარამიას ჯგუფი, რომელიც სარგებლობდა საქ. კპ(ბ) ცკ-ის ხელმძღვანელთა პოლიტიკური სიბეცით, აქამდე დაუსჯელად გააგრძელებდა პარტიის საქმისა და საქართველოს ხალხის საქმისათვის ზიანის მიყენებას, სკპ(ბ) ცკ-ის მითითება რომ არ მიეცა ამ ჯგუფის ლიკვიდაციის აუცილებლობის შესახებ. 2. რა გარანტია არსებობს, რომ მომავალში არ განმეორდება მსგავსი შეცდომები და ჩავარდნები და რა არის საჭირო, რომ ასეთი რამ აღარ მოხდეს?***

***ამ საკითხების გასარკვევად სკპ(ბ) ცკ-ში საჭიროდ ჩათვალეს საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის ბიუროს წევრთა გამოძახება მოსკოვში, რათა მათთან ერთად განეხილათ საქართველოში შექმნილი მდგომარეობა და ემსჯელათ ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე.***

***საქართველოს კომპარტიაში საქმის მდგომარეობის ერთობლივი განხილვის შედეგად გამოირკვა შემდეგი.***

***საქართველოში კვლავაც არასასურველად რჩება საქმის მდგომარეობა შინაპარტიული დემოკრატიის მხრივ. საქართველოს კომპარტიაში თვითკრიტიკა, ისევე როგორც კრიტიკა ქვევიდან, პარტიის რიგითი წევრების მხრიდან, როგორც წესი, მიღებული არ არის. უფრო მეტიც, საქართველოში დევნიან იმ ადამიანებს, რომლებიც ამხელენ ნაკლოვანებებს საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის მუშაობაში. საქართველოს კპ(ბ) ცკ-ში გამეფებულია გულარხეინობის და პირადული კეთილდღეობის ვითარება. გატაცებული არიან სამეურნეო წარმატებებით და ავიწყდებათ, რომ სამეურნეო წარმატებებს ჩრდილოვანი მხარეც აქვს, თან სდევს მუშაობაში ნაკლოვანებებისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულება, მოაქვს ობივატელური დამშვიდება და წარმოშობს პოლიტიკურ სიბეცეს. ამას გარდა, საქართველოს კპ(ბ) ცკ ცუდად არის დაკავშირებული მუშათა და გლეხთა მასებთან. რესპუბლიკის კომპარტიის ცკ-ისა და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელები იშვიათად არიან ადგილობრივ ორგანიზაციებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებში, და თუ არიან, ისიც – გავლით.***

***გამოირკვა, აგრეთვე, რომ საქ. კპ(ბ) ცკ-ში, ცკ-ის ბიუროს და პირველ რიგში ამხ. ჩარკვიანის ბრალით, დავიწყებას მიეცა ლენინის უმნიშვნელოვანესი მითითება იმის შესახებ, რომ ორგანიზაციული ბოლშევიკური ხელმძღვანელობის საფუძველს შეადგენს კადრების სწორი შერჩევა და გადაწყვეტილებების შესრულების შემოწმება. ამხ. ჩარკვიანმა დიდი შეცდომა დაუშვა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მან მთელი ორგანიზაციული მუშაობა, ადამიანთა შერჩევის და შესრულების შემოწმების საქმე ბარამიას, ჭიჭინაძეს და მათ მომხრეებს მიანდო, ეს უკანასკნელები კი, როგორც ამჟამად გახდა ცნობილი, ამას პარტიისათვის მტრული მიზნებით იყენებდნენ.***

***გამოირკვა, რომ საქ. კპ(ბ) ცკ იშვიათად იწვევს ცკ-ის პლენუმებს, ცუდად აქვს ორგანიზებული საქართველოს ცკ-ის ბიუროს მუშაობა, ცკ-ის წევრებს არ უგზავნის ცკ-ის ბიუროს ოქმებს, რის შედეგადაც ცკ-ის წევრები ცუდად არიან ინფორმირებული პარტიული და სამეურნეო მუშაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე პარტიული გადაწყვეტილებების შესახებ, რაც სრულიად არანორმალურია.***

***ბოლოს, გამოირკვა, რომ საქართველოს კპ(ბ) ცკ გადამჭრელ ბრძოლას არ წარმართავს საკოლმეურნეო დოვლათისადმი ზოგიერთი რაიონული ხელმძღვანელის არასწორი, დანაშაულებრივი დამოკიდებულების ფაქტებისადმი, კოლმეურნეობებისათვის მძიმე გადასახადების დაკისრების და საკოლმეურნეო ქონების ხელყოფის ფაქტებისადმი და ვერ ხვდებოდნენ, რომ ასეთი ფაქტები ზიანს აყენებს გლეხობას, ძირს უთხრის პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ავტორიტეტს საქართველოში.***

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქ. კპ(ბ) ცკ ადგენს:

***1. ამხ. ჩარკვიანი მოიხსნას საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის პირველი მდივნის თანამდებობიდან და გაწვეულ იქნეს სკპ(ბ) ცკ-ის განკარგულებაში სხვა სამუშაოზე დასანიშნად (1952 წლის 11 აპრილს პოლიტბიურომ კ. ჩარკვიანი სკპ(ბ) ცკ-ის ინსპექტორად დაამტკიცა-ა.ა.).***

***2. მიღებულ იქნეს საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის ბიუროს წევრთა წინადადება და საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის პირველ მდივნობაზე რეკომენდაცია მიეცეს ამხ. მგელაძეს და განთავისუფლდეს იგი პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან (1952 წ. 5 აპრილს პოლიტბიურომ დაამტკიცა საქ. კპ(ბ)ცკ-ის პლენუმის დადგენილება ა. მგელაძის საქ. კპ(ბ) ცკ-ის პირველ მდივნად არჩევის შესახებ-ა.ა.).***

***3. საქართველოს კპ(ბ) ცკ-ს დაევალოს:***

***ა) უმოკლეს ვადაში აღმოიფხვრას აღნიშნული ნაკლოვანებები, გადამწყვეტად გაშალოს ქვევიდან კრიტიკა ორგანიზაციაში, დაამკვიდროს შინაპარტიული დემოკრატია ზემოდან ქვემომდე და უმკაცრესად დასაჯოს კრიტიკის ჩამხშობნი და შინაპარტიული დემოკრატიის დამრღვევნი;***

***ბ) ბოლშევიკური ორგანიზაციული ხელმძღვანელობის საფუძვლად საქმით აქციოს ადამიანების სწორი შერჩევისა და პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების პრინციპი;***

***გ) რეგულარულად, თვეში ერთხელ მაინც, მოიწვიოს საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის პლენუმები და მათზე განიხილოს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, სერიოზულად გააუმჯობესოს ცკ-ის ბიუროს მუშაობის ორგანიზაცია,შემოიღოს საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის წევრთა სისტემატური ინფორმირება, ამ მიზნით მათთვის ცკ-ის ბიუროს ოქმების დროული დაგზავნა;***

***დ) ბოლო მოუღოს ზოგიერთი რაიონული მუშაკის დანაშაულებრივ დამოკიდებულებას საკოლმეურნეო საკუთრებისადმი, გადაჭრით აღკვეთოს საზოგადოებრივი ქონების დატაცება, პასუხისგებაში მისცეს ამ დანაშაულის ჩამდენი პირები.***

***განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ჩამორჩენილ სასოფლო-სამეურნეო რაიონებს, მთელი ძალისხმევა წარმართოს იქითკენ, რომ ამ რაიონების კოლმეურნეობებს წამოწევის და თავიანთი სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა მიეცეთ;***

***ე) კადრების შერჩევისას გაითვალისწინოს საქართველოს ცალკეული ნაწილების პროვინციული განსაკუთრებულობანი, რაიონების ხელმძღვანელებად დააწინაუროს ადგილობრივი ხალხი.***

***4. საქართვეელოს კპ(ბ) ცკ-ს დაევალოს, ა. წ. აპრილში მოიწვიოს კპ(ბ) ცკ-ის პლენუმი, რომელზეც განიხილავენ ამ დადგენილებას, შეიმუშავებენ ღონიძიებებს მისი შესრულებისათვის და მოაწყობენ საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის პირველი მდივნის არჩევნებს.***

***საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობისათვის მივლინებაში გაიგზავნოს სკპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი ამხ. ლ. პ. ბერია.“***

იხ. 8 გვ.

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ
„სრ“ №47-48, 50-51, 54-55, 56, 57, 60-68

საქართველოს რესპუბლიკა

**90 წელი შეუსრულდა სასიქადულო მამულიშვილს, თვალსაჩინო მეცნიერს, უმაღლესი სკოლის ცნობილ ორგანიზატორსა და პედაგოგს, შესანიშნავ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს აგრარული მეცნიერების ღირსეულ წარმომადგენელს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნაპოლეონ ქარქაშაძეს.**



# სახელოვანი მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე

**90 წელი სოლიდური ასაკია, ზოგისთვის მშვიდ და უშფოთველ ცხოვრებასთან გაიგივებული, მაგრამ არა ბატონი ნაპოლეონისთვის. ჩვენ, ვინც მას კარგად ვიცნობთ და დღემდე მის გვერდით განვაგრძობთ საქმიანობას, ვიცით, რომ იგი ფენომენური შესაძლებლობის, ულევი ენერგიის, დაწყებული საქმის ბოლომდე მიმყვანი ადამიანია და რაც მთავარია, ყოველთვის ზუსტად გრძნობს, დროის მოთხოვნებს და ამის გამო მუდამ ახალგაზრდა და ნოვატორია.**

ბატონი ნაპოლეონი ომისდროინდელი თაობაა. 1943 წელს სწავლა დაიწყო თბილისის ვაჟთა პირველ საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ, მისაღები გამოცდები ჩააბარა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1959 წელს. 1961 წლიდან სწავლას აგრძელებს მოსკოვის ეკონომიკურ-მათემატიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და დაბრუნდა თავის მშობლიურ ინსტიტუტში, სადაც აირჩიეს ეკონომიკის კათედრის დოცენტად, შემდგომ კათედრის გამგედ.

1975 წელს საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა იღებს გადაწყვეტილებას ქალაქ სოხუმში საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორად ბატონი ნაპოლეონ ქარქაშაძის დანიშვნის შესახებ. ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად ედო ქვეყნის ინტერესები, აგრეთვე, მისი პიროვნული თვისებები, ცხოვრებისეული გამოცდილება და მამულიშვილობა.

ამ მაღალ პოსტზე, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოჩნდა ბატონი ნაპოლეონის ფართო ერუდიცია, კვანძებად შეკრული ძველი და ახალი პრობლემების გადაწყვეტის უნარი. ამ პერიოდში სრულად გამოვლინდა მისი ორგანიზატორული შესაძლებლობები. საქმიანობის ყოველი ნაბიჯი იყო წინასწარ გათვლილი. ბატონი ნაპოლეონი დიდ ენერგიასა და ძალისხმევას ახმარდა ინსტიტუტის სასწავლო და სამეცნიერო დანაყოფების სრულყოფასა და განვითარებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფას, ახალგაზრდა კადრების მომზადებას. ჩამოყალიბდა ახალი კათედრები, სასწავლო კაბინეტები და ლაბორატორიები, სახელოსნოები, აშენდა საცდელ-საექსპერიმენტო ჩაის ფაბრიკა, სპორტული მოედანი. იგი არის ადამიანი, რომელიც თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის – აფხაზეთის ცხოვრებაში, თავისი მაღალი ავტორიტეტით მაქსიმალურად ხელს უწყობდა საზოგადოების თვითშეგნებისა და ერთიანობის სულისკვეთების განმტკიცებას.

1982 წელს ბატონმა ნაპოლეონმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. იმავე წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1990 წელს არჩეული იქნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორად, სადაც იმუშავა 2004 წლამდე. ამავე პერიოდში ინსტიტუტი გადაკეთდა აგრარულ უნივერსიტეტად. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რათა ძნელბედობის ჟამს შეენარჩუნებინა და განევითარებინა აგრარული განათლება და მეცნიერება. იგი იყო საქართველოში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აღდგენის ერთ-ერთი ინიციატორი. 1998 წელს მას ირჩევენ აკადემიისა და მისი პრეზიდიუმის წევრად, ხოლო შემდგომ, 2004 წელს – პრეზიდენტად.

**მსოფლიოში აღიარებული ქართული სამეცნიერო სკოლები იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მეცნიერთა წიაღში ამოიზარდა არა ერთი თვალსაჩინო და მაღალი დონის მკვლევარი, რომლითაც ყოველდღიური თანმიმდევრული შრომით თავისი წვლილი შეიტანეს მეცნიერების ამა თუ იმ დარგის განვითარებასა და წინსვლაში. აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე იმ გამორჩეულ სწავლულთა შორისაა, რომელმაც თავისი მრავალწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობა სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ განვითარებას დაუკავშირა და ამ კუთხით არაერთი საყურადღებო ფუნდამენტური ნაშრომი შემატა ჩატარებული კვლევების სოლიდურ ნუსხას.**

ფართოა მისი სამეცნიერო კვლევის არეალი. ბატონი ნაპოლეონი 320-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის და პუბლიკაციის ავტორია. მათ შორის, მსოფლიო სოფლის მეურნეობის 2- ტომეულის, 5 მონოგრაფიის და 7 სახელმძღვანელოსი. მათში ასახულია ფიქრის, განსჯის, გამოცდილების ქურაში გამოწრთობილი მოსაზრებები. მის საქმიანობას მუდამ ახლდა თავდაუზოგავი შრომა, მაღალი კვალიფიკაცია და კომპეტენცია. გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოქვეყნებული პირველი ნაშრომებიდან, ბოლო წლების გამოკვლევების ჩათვლით, ბატონი ნაპოლეონი ყოველთვის მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ყველაზე აქტუალური და რთული პრობლემების გადაწყვეტის მიმართულებით. მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვს ბუნებათსარგებლობაში, მიწის რესურსებში, დარგობრივ ეკონომიკაში და ა. შ. მან გაზარდა ასპირანტებისა და დოქტორანტების მთელი პლეადა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

**სამაგალითო იყო აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძის პედაგოგიური საქმიანობა. შესანიშნავი ჰარმონიულობით უხამებდა ერთმანეთს სტუდენტებისადმი მტკიცე, პრინციპულ მოთხოვნებს და უაღრესად გულთბილ, ყურადღებიან დამოკიდებულებას. ის პედაგოგთა იმ ბრწყინვალე თაობის წარმომადგენელია, რომლებიც არაფერს იშურებდნენ ახალგაზრდების აღზრდის პროცესში. სპეტაკი ზნეობით, მრწამსის განმტკიცებისა და მამულის უანგარო სიყვარულის დამკვიდრებაში. არ ვაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ღირსეულმა მამულიშვილმა მრავალ ახალგაზრდას გაუწია თანადგომა და ცხოვრების ლაბირინთებისკენ მშობლიური ამაგით გაუკვალა გზა. ახალგაზრდების სწავლა-აღზრდის საქმეში შეტანილი წვლილისთვის და ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობისთვის აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე 1985 წელს დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის" ორდენით, 1995 წელს ღირსების ორდენით. 1981 წელს გახდა სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. აფხაზეთში მოღვაწეობისას იყო აფხაზეთს ავტომონიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.**

ბატონ ნაპოლეონს, როგორც პიროვნებას, ამშვენებს უანგარობა, თავმდაბლობა, აქვს მუშაობის თავისი სტილი, არასოდეს არ ჩქარობს, არ ღებულობს მოუფიქრებელ გადაწყვეტილებას. მისთვის უცხოა ადმინისტრაციული და დაშინების მეთოდები... არის შესანიშნავი მეუღლე, სათაყვანო მამა, საყვარელი ბაბუა და დიდი ბაბუა. ამ თვისებების გამო იგი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა და სარგებლობს კოლეგებში, მეგობრებში, სტუდენტებსა და ფართო საზოგადოებაში. იგი არის საინტერესო იდეების მატარებელი და ინოვაციებზე ორიენტირებული.

აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე მეცნიერების შესანიშნავი ორგანიზატორია. იგი ფართო კავშირებს ამყარებდა და ამყარებს საქართველოსა და საზღვარგარეთის ცნობილ მეცნიერებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან. მონაწილეობდა მრავალ სამეცნიერო სიმპოზიუმსა და კონფერენციაში, არის დიდი დიაპაზონის მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც თავისი მეცნიერული შემოქმედებით გაითქვა სახელი საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. იგი უაღრესად კეთილშობილი, მაღალი ზნეობისა და მოქალაქეობრივი პრინციპების მქონე პიროვნებაა, რომლის ცხოვრებისეული გზა, დიდი ავტორიტეტი და საყოველთაო საზოგადოებრივი აღიარება ქვეყნისა და ხალხისთვის გაწეული ღვაწლის ჭეშმარიტი მაგალითია. საქმისადმი უაღრესად კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, საზოგადოებრივი ინტერესების უზენაესობა, პროფესიონალიზმი, პრინციპულობა და შრომისმოყვარეობა არის მისი ცხოვრების არსი. მის მოსაზრებებს ყოველთვის ყურადღებით ისმენდნენ და ითვალისწინებდნენ სამეცნიერო საზოგადოებაშიც და ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში.

ცალკე განხილვის თემაა აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძის პუბლიცისტიკა და მწერლობა. მას, თვალსაჩინო მეცნიერსა და მკვლევარს, ბელეტრისტის მადლიც უბოძა ღმერთმა. ამის დასტურია პოლიტიკური რომანები „სტალინი", „ხრუშჩოვი" და „ბრეჟნევი". 2013 წელს მკითხველმა მიიღო მისი სათავგადასავლო რომანი „აკადემიკოსი გისოსებს მიღმა", რომელმაც მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია, რომელშიც აღწერილია ყველა ის პოლიტიკური მოვლენა და ფაქტი, რომელიც აფხაზეთში გასული საუკუნის დასასრულს და საქართველოში XXI საუკუნის დასაწყისში მიმდინარეობდა. მისი პუბლიცისტიკა, რომელიც ხშირად იბეჭდება პრესაში, გამოირჩევა არა ღრმა შინაარსით, არამედ პრინციპულობითაც, მისგან შორსაა მაამებლობა და დაუმსახურებელი ქება-დიდება, ყოველივე ეს მის მიერ გამოქვეყნებულ წერილებშიც იგრძნობა.

ამ დახვეწილმა ინტელიგენტმა და საზოგადო მოღვაწემ თავისი ქვეყნის წინაშე საკეთილდღეო ტვირთი ვაჟკაცურად ატარა. ამ საქმეში მას მუდამ გვერდით ედგა და ხვედრს უმსუბუქებდა შესანიშნავი მეუღლე, ქალბატონი სულიკო როგავა (სამწუხაროდ, გარდაცვლილია). დღეს მისი საქმიანობისთვის ხელის შეწყობას ცდილობს მისი ქალიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ქეთევან ქარქაშაძე. ბატონ ნაპოლეონს ჰყავს შვილიშვილები და შვილთაშვილები.

**ჩვენ, მისი მრავალრიცხოვანი კეთილისმსურველები და განსაკუთრებით, ყოფილი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის უნივერსიტეტის კოლექტივი, რომელსაც 16 წელიწადი სათავეში ედგა, სასიქადულო მეცნიერს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, სტუდენტ-ახალგაზრდებისთვის საყვარელ პედაგოგს ნაპოლეონ ქარქაშაძეს გულითადად ვულოცავთ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.**

**ბატონი ნაპოლეონის ბიოგრაფია ხომ თვით ისტორიაა, რომელიც გრძელდება და კვლავ შეივსება მრავალი წლის განმავლობაში ახალ-ახალი ფურცლებით.**

**ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით,**

პროფესორები:
**შალვა კირთაძე, როლანდ კოპალიანი, თამაზ ცანავა, რანი ჭაბუკიანი, ნუგზარ ებანოიძე, თემურ რევიშვილი, ვალერიან ცანავა, ქეთევან კინწურაშვილი;**

ასოცირებული პროფესორები:
**მარიეტა თაბაგარი, იზოლდა ხასაია.**

## აბაშაში კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების დღე იზეიმეს

**აბაშაში ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე გამსახურდიას 134 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სახალხო დღესასწაული „კონსტანტინეობა" აღინიშნა.**

**სადღესასწაულო ღონისძიებებს სოფელ ძველ აბაშაში კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმმა უმასპინძლა, სადაც მოწყობილი იყო სხვადასხვა შემეცნებითი სივრცეები. ღონისძიებას კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახის წევრები, პარლამენტის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. „კონსტანტინეობა" გალა-კონცერტით დასრულდა, რომელშიც „ქართულ ხმებთან" ერთად ადგილობრივი და მოწვეული ანსამბლები მონაწილეობდნენ.**









# პუტინი უკრაინასთან ომით „დაიღალა“

დონალდ ტრამპმა, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ვიზიტის დროს, ინტერვიუ მისცა ამერიკულ ტელეარხის **„ფოქს ნიუსის“ (Fox News)** პროგრამა „სოციალური რეპორტაჟის“ წამყვანს ბრეტ ბაიერს და საგარეოპოლიტიკურ საკითხებზე, მათ შორის რუსეთ-უკრაინის ომზე და პუტინ-ზელენსკის სავარაუდო დიალოგის შესახებ ესაუბრა. ინტერვიუს ვიდეოჩანაწერი გამოქვეყნებულია სათაურით **„ტრამპი აცხადებს, რომ პუტინი უკრაინასთან ომით „დაიღალა“.**

გთავაზობთ ამონარიდებს ინტერვიუდან:

**– მისტერ ტრამპ, როგორ უძლებთ ასეთ დაძაბულ ვიზიტს, ამდენ მოლაპარაკებებს?**

– არ ვიცი, ალბათ, ყველაფერი გენეტიკაშია. დედ-მამა ძალიან ძლიერი ადამიანები მყავდნენ, ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლეს და დიდებულად იცხოვრეს. მე პირადად ზედიზედ ვაწყობ შეხვედრებს, ზედიზედ გამოვდივარ სიტყვებით, თანაც ხანგრძლივად... ვინც მისმენს, განცვიფრებულები არიან და მეუბნებიან, რა მაგარი სიტყვით გამოხვედიო, მე კი არც ვიცოდი, თუ გამოსვლა მომიწევდა, ამიტომ მაგარი იმპროვიზაციები გავაკეთე. თქვენ გგონიათ ამას მძინარე ჯო გააკეთებდა? არა მგონია. არადა, ძალიან მაგრად გამომივიდა, წინასწარ არც მოვემზადებულვარ(...)

**– როგორ გესმით ვლადიმერ პუტინის ლოგიკა? თქვენ მას ხომ უთხარით – დასხედით მოლაპარაკების მაგიდასთან და დაზომმვები შეწყვიტეთ. მან კი არ შეწყვიტა, სტამბოლში არ ჩასულა და მოლაპარაკების მაგიდასთანაც არ დამჯდარა. რა ხდება? რას უზამთ პუტინს?**

– იცით, მთლად ეგრეც არ არის. იგი თითქოსდა მოლაპარაკებაში მონაწილეობს – ისე, ირიბად, მაგრამ რუსეთის დელეგაცია იმას აკეთებს, რასაც ის ეტყვის. სტამბოლის შეხვედრა ხომ მისი ინიციატივა იყო. საერთოდ კი – ვხედავ, რომ ჩემი და პუტინის გარეშე არანაირი შეთანხმება არ გამოვა. მოლაპარაკებაზე ძალიან დიდი სიძულვილი მეფობს.

თქვენ იცით, რომ მე ვლადიმერ პუტინთან კარგი ურთიერთობა მაქვს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მოვილაპარაკებთ, ამისათვის აუცილებელია ჩვენ ერთმანეთს შევხვდეთ და ვფიქრობ, ასეც იქნება. უკვე ყელში ამომივიდა ჩემი სპეცწარმომადგენლებისა და დესპანების მუდმივი აქეთ-იქით სიარული და შეხვედრები... ვფიქრობ, რომ ერთადერთი ვარ, რომელიც ამ საქმეს მოუვლის. ჩვენ ერთმანეთს შევხვდებით და ყველაფერს გადავწყვეტთ. ვატყობ, რომ პუტინი დაღლილია ამ ომისგან. ძველებურად აღარ გამოიყურება. არადა, მას უყვარს ხოლმე, რომ კარგად გამოიყურებოდეს. არ დაგავიწყდეთ – მისი ვარაუდით, უკრაინასთან ომი ერთ კვირაში დასრულდებოდა. მისი ტანკები რომ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე (გაზაფხულის) ტალახში არ ჩავარდნილიყვნენ, რუსები კიევს ხუთ საათში დაიკავებდნენ. სხვათა შორის, ვინ მისცა უკრაინელებს „ჯაველინები“? თქვენ გგონიათ, რომ ბარაკ ობამამ? არა, დონალდ ტრამპმა მისცა!

**– შეიცვალა თუ არა თქვენი ხედვა პრობლემის მიმართ? ხომ არ ფიქრობთ იმას, რომ ვლადიმერ პუტინი ომის მშვიდობით დასრულებისათვის დაბრკოლება გახდა?**

– მე ვოლოდიმირ ზელენსკისთან მკაცრი დავა მომიხდა – იმიტომ, რომ არ მომეწონა, რაც მან თქვა. იგი კარგად ვერ მიხვდა ჩემს ნათქვამს. მე მას სრულიად გულწრფელად ვუთხარი, რომ კოზირები არ გაქვს-მეთქი. დიახ, გულადი ხარ, მაგარი ტექნიკა გაქვს, მაგრამ შენ ურიცხვი რაოდენობის მქონე არმია გიპირისპირდება-მეთქი. (...)

**– რატომ არ უცხადებთ რუსეთს დამატებით სანქციებს?**

– აუცილებლად შემოვიღებ, თუ ვერ მოვილაპარაკებთ – როცა ერთმანეთს შევხვდებით. რუსეთი ჩემს სანქციებს ვერ გაუძლებს და გაისრისება. მის ეკონომიკას ცუდი დღეები ელოდება – ნავთობი ძალიან გაიაფდა.

**– ეს ომში გარდატეხას გამოიწვევს?**

– ჯო ბაიდენს არაფერი არ ესმოდა, უუნარო იყო. მას საომარი მოქმედებები არ აინტერესებდა. იგი პუტინს სიტყვებით ემუქრებოდა, საქმით კი არაფერს აკეთებდა. მისი პრეზიდენტობის დროს ნავთობის ფასი 100 დოლარამდე იყო და პუტინი ფულს ნიჩბით ხვეტდა. მე კი ნავთობი გავაიაფე და პუტინის სავაჭრო ფარდული დავხურე.



მოამზადა
**სიმონ კილაძე**

## რუსეთში 40 წელს გადაცილებულ უშვილო კაცებს გადასახადს დაუწესებენ!



**ინიციატივით ტელეწამყვანი და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დეკანოზი ანდრეი ტკაჩევი გამოვიდა.**

დეკანოზმა **ანდრეი ტკაჩევმა** განაცხადა, რომ 40 წელს გადაცილებული უშვილო მამაკაცები უნდა დაიბეგრონ, რათა მათი ცხოვრების წესი „სტიგმატიზირებული“ იყოს.



**„უშვილობის გადასახადი მაღალი არ უნდა იყოს. სიმბოლური უნდა იყოს, რათა სტიგმატიზაცია განიცადონ – ორმოცი წლისაა და უშვილო,“** – განაცხადა **ტკაჩევმა.**

მისი თქმით, **ორმოც წელს გადაცილებული ბევრი მამაკაცი „პარაზიტული ცხოვრებით“ ცხოვრობს – ოჯახის, შვილებისა და ვალდებულებების გარეშე. ამის გამართლება მხოლოდ „ავადმყოფობით ან კასტრაციით“** შეიძლება.

## ფინეთში ორი ვერტმფრენი ერთმანეთს შეეჯახა, დაღუპულია ხუთი ადამიანი

**შემთხვევა ქვეყნის დასავლეთით მდებარე ეურას მხარეში მოხდა. ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, ორივე ვერტმფრენი ესტონეთის დედაქალაქ ტალინიდან ფინეთის ქალაქ კოკემაკისკენ მიფრინავდა. ბორტზე ბიზნესმენები იმყოფებოდნენ.**

როგორც ფინური მედია თვითმხილველზე დაყრდნობით წერს, კატასტროფამდე ვერტმფრენები მანევრებს ასრულებდნენ. ფაქტზე დაწყებულია მოკვლევა.

## მისურისა და კენტუკის შტატებში ტორნადოს შედეგად, სულ მცირე, 25 ადამიანი დაიღუპა

**აშშ-ის მისურისა და კენტუკის შტატებში ტორნადოს შედეგად, სულ მცირე, 25 ადამიანი დაიღუპა, დაშავებულია ათობით პირი.**

დაღუპულთაგან 14 კენტუკის მკვიდრია. ადგილობრივ ხელისუფლებაში შიშობენ, რომ მსხვერპლის რიცხვი, შესაძლოა, კიდევ გაიზრდება.

მისურიში სტიქიას შვიდი ადამიანი ემსხვერპლა. სამძებრო-სამაშველო ოპერაციები ამ დრომდე მიმდინარეობს. სტიქიამ ელექტროენერგიის გარეშე დატოვა ასობით ათასი აბონენტი.



# მეგრელთა საქმე

(მეექვსე გვერდიდან)

**1-2 აპრილს გაიმართა საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის პლენუმი, რომელზეც კანდიდ ჩარკვიანი აკაკი მგელაძით შეიცვალა.**

ლ. ბერია სიტყვით გამოვიდა და კრიტიკის (ძირითადად, ზოგადი კრიტიკის) ცეცხლი ჩარკვიანის წინააღმდეგ წარმართა: თუმცა წარსულში საქართველოს ბევრი მტერი ჰყავდა, ჩარკვიანს ბოლშევიკური სიფხიზლე არ ეყო და მისი საკადრო პოლიტიკა უკეთესის სურვილს ბადებს. არაეფექტიანი იყო ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ. ბოროტმოქმედება ხდება ვაჭრობის სამინისტროში. ზოგიერთი ამხანაგი სამართლიანად აკრიტიკებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს იმისთვის, რომ კომპარტიის ცკ-ის ბიურო ხშირად ითავსებს მინისტრთა საბჭოს როლს. შემდეგ ბერია აღნიშნავს, რომ თბილისისა და ქუთაისის ოლქების შექმნა აძლიერებს სახელმწიფო და პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელ როლს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და კულტურაში.

პლენუმის მთავარი ამოცანა იყო ჩარკვიანის კრიტიკა და ლავრენტი მკაცრად განაგრძობს: ეკონომიკის საკითხებში ჩაფლულ ჩარკვიანს, დაავიწყდა სტალინის სწავლება, რომლის მიხედვითაც, არ შეიძლება ეკონომიკისაგან პოლიტიკის გამიჯვნა. ჩარკვიანმა ვერ დაინახა, რომ ბარამიას ჯგუფი იმპერიალისტთა დახმარებით საქართველოში კაპიტალიზმის რესტავრაციას ამზადებდა. ჩარკვიანს ბრალი მიუძღვის, რომ მან საქართველოში არ აამოქმედა ცკ-ის 1948 წლის 2 ივნისის ინსტრუქცია, რომელიც მტრული ელემენტების დეპორტაციას მოითხოვდა და ამხანაგ სტალინის არაერთგზის მითითების მიუხედავად, არაფერი გააკეთა საქართველოს საზღვრების განსამტკიცებლად და ა. შ. და ა. შ.



აკაკი მგელაძე

საერთოდ კი ლავრენტი სრულიად გაემიჯნა საქართველოში გაშლილ „კუდიანებზე ნადირობას“. მხოლოდ სკპ(ბ) ცკ-ისა და პირადად ამხანაგ სტალინის წყალობით გახდაო შესაძლებელი ბარამიას მტრული ჯგუფის მხილება და ნეიტრალიზება!

კ. ჩარკვიანი უნიათოდ იცავდა თავს: რაფავა იმიტომ დავნიშნეთ იუსტიციის მინისტრად, გვეგონა, ამ უმნიშვნელო ადგილზე გადაყვნით ხელს აღარ შეგვიშლიდა. ახლა ვაღიარებ ჩემს შეცდომას, რადგან ამ ადგილზეც კი რაფავამ სიძნელეები შეგვიქმნა ემიგრანტებთან ბრძოლაში. მაგრამ არ შეიძლება ცეკა დავადანაშაულოთ ასეთი პოლიტიკისათვის, რადგან რაფავა არ გვეთათბირებოდა და ყველაფერს ერთპიროვნულად აკეთებდა, ისევე, როგორც რესპუბლიკის პროკურორი შონიაო.

მამხილებელი იყო რუხაძის გამოსვლა. დასაწყისში მან ერთგვარად შეაჯამა „მეგრელთა საქმე“. ბარამიამ აღიარა, რომ შექმნა ნაციონალისტური ჯგუფი დანაშაულის ჩამდენ პირთა დასაფარავად, რაფავა კი, 1943-1944 წლებიდან დაწყებული, ძირგამომთხრელ საქმიანობას წარმართავდა, 1948-1949 წლებში მე უშედეგოდ ვცდილობდი ჩარკვიანის გაფრთხილებასო.

პლენუმმა „მთლიანად მოიწონა კპ(ბ) ცკ-ის დადგენილება „საქართველოს კომპარტიაში მდგომარეობის შესახებ“, მიიღო იგი განუხრელი შესრულებისათვის, აირჩია ახალი ხელმძღვანელობა და ცეკას დაავალა დახურული წერილის შედგენა პარტიულ ორგანიზაციებში დასაგზავნად, რომელშიც განმარტებული იქნებოდა ეს გადაწყვეტილებები.

ლავრენტიმ სტალინს მაშინვე მოახსენა ტელეფონით, პლენუმი მაღალ დონეზე ჩატარდა, მთლიანად მოიწონეს და მხარი დაუჭირეს ცენტრალური კომიტეტის 27 მარტის დადგენილებასო.

ამრიგად, საქართველოში დასრულდა კანდიდ ჩარკვიანის მმართველობის 13-წლიანი პერიოდი. დაიწყო აკაკი მგელაძის ერთწლიანი ზეობა.

„ბარამიას ჯგუფის“ წინააღმდეგ ბრძოლას ახალი იმპულსი მიეცა – ჩარკვიანის კრიტიკა და გინება. დაიწყო მასზე კომპრომატების შეგროვება. მაგალითად, 1952 წლის 12 მაისს ილია თავაძეს მთელი ღამე (7 საათი და 15 წუთი) დაჰკითხავდნენ „ჩარკვიანის, ბარამიას, შარიას და სხვათა მხრივ საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის ხელმძღვანელობის ანტიპარტიულ პრაქტიკაზე, სსრკ მთავრობის მოტყუების ფაქტებზე, თაღლითებისა და არამზადების მფარველობაზე“.

**(გაგრძელება იქნება)**



## იბრაჰიმხალილი

იბრაჰიმხალილი (იბრაჰიმხალილ მუჰამედალი ოღლი თამიევი) ბოლნისის რაიონის სოფელ მუშევანში დაიბადა. დღეს ის ყაზრეთში ცხოვრობს.

იბრაჰიმხალილი 10 წიგნის ავტორია. ამავე დროს, დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის შესახებ შესანიშნავი წიგნი აქვს დაწერილი.

დღეს გთავაზობთ იბრაჰიმხალილის ლექსებს.

# ჩემგან საუკეთესო საზი გამოითლება...

### Qalaktion Tabidzenin xatirəsinə
### გალაკტიონ ტაბიძისადმი

ნეტავ ერთხელ, ნეტავ ერთხელ
ვაკე გახდეს ქვეყნის ცენტრი,
და მოგადგეს უცებ მერი
თეთრ ფატაში, თეთრი ეტლით.

ისე, როგორც მამულს შვენის
შეერიოს სევდას ლხინი.
ისე კი არ დაიხარჯოს,
სამარემდე მიგყვეს ჟინი!

ვაკე გახდეს ქვეყნის ცენტრი...
თქვან, ეს ვარდი ვისიაო.
და მწუხარე შემოდგომით
მოგძახოდნენ, – „გიჟიაო“.

შეგეყაროს ყველგან მერი,
ვით ღვთაება და ვით ქალი.
დასაფერფლად მოგეკიდოს
მისი ფატის თეთრი ალი.

### Qan yerinə mürəkkəb
### მელანი უჩქეფთ სისხლის მაგიერ

გალაკტიონ ტაბიძისადმი

ლექსებიც ეგრე იბადებიან,
იფურჩქნებიან როგორც კვირტები.
მელანი უჩქეფთ სისხლის მაგიერ,
ისე ჩნდებიან, გაგიკვირდება.

მთასავით დარდი აგიყვანს მთაზე,
აღმართზე ფიქრებს ვზიდავთ ყველანი.
ექიმი სისხლის ანალიზს მიღებს,
ხედავს ძარღვებში მიდუღს მელანი!

როგორც ღვიძლი ძმა მოგესალბუნა, –
კაცი კაცია, არც ქვა, არც ხეა.
შენც პოეტი ხარ, მთაო – ძმობილო?
მკერდზე შენც მელნის ლაქა გაცხია!

...ძარღვივით მოსჩანს მთაზე ბილიკი,
სხვა მზეს, მთავ, შენი მზე და დარი სჯობს.
...ოდეს სამყარო მელნის ზღვა იყო,
პოეტი მელნის ზღვაში დაიხრჩო!

### Anamın pensiya kağızı
### დედაჩემის პენსია

შემოდგომაა, ანცი ქარები
ყვითელი ფანქრით ხატავენ ფოთლებს.
როგორც თვის ბოლოს ბებოს პენსიას,
შვილიშვილები ხვეტავენ ფოთლებს.

ალბათ მორჩება ეს ფოთოლცვენა,
ყვითელი ფერი ლექსს შთამაგონებს...
დედის ხსოვნა და მისი პენსია
მე სევდის მომგვრელ ფოთლებს
მაგონებს.

...დედის ჭაღარა ფაიზის სურნელს
აფრქვევდა,
მინდა ვუძღვნა ოდები.
დედიკო გაჰყვა წეროთა გუნდს და
რა ვქნა, წეროებს დაველოდები...

### Xeyirli səhərlər
### დილა მშვიდობისა!

იშლება დილა, ვითარცა წიგნი...
თითქოს პოეტმაც სხივი მოჰფინა.
წიგნი ჯვარცმული, წიგნი ტანჯული,
„აშუგ ყარიბის“ წიგნი ყოფილა!

ზოგჯერ სარკის წინ დგახარ და ასე
დალალს ივარცხნი, ჰორიზონტს წეწავ...
დილა წიგნივით იშლება, ანუ
დღეს შენ წიგნიდან გამოიხედავ! –

ო, ქალბატონო, დგება ქალაქი,
იცილებს საბანს, ვით ღრუბლის ფთილას.
მე – სიკეთის და მშვიდობის წიგნი,
შენ მშვიდობიანს გისურვებ დილას!...

### Payız almasına rapsodiya
### რაფსოდია შემოდგომის ვაშლს

ან მეფის, ანდა ვეზირის ბაღი
გახლდათ, ურთვილიც და
თოვლიც ეფინა.
მისი ნაყოფი ჰკურნავდა სნეულს,
ვაშლის ბაღში არ ვყოფილვარ წინათ.

შუაღამეზე მოვწყვიტე ვაშლი –
შემოენახა მებაღეს თურმე.
მე ჩასაკბეჩად ვერ გავიმეტე,
ლოყებღაჟღაჟა ელოდა სტუმრებს!

დევებმა დასცეს მაშინ ყიჟინა,
აურზაურის დამიგეს მახე.
მე გალიაში შემაგდეს მყისვე,
მას ტომარაში გადაუძახეს.

მაშინ დამტოვა, და ასე დარჩა
ვაშლი პირმოკრულ დიდ ტომარაში.
სავსე ტომრები და ხურჯინები
მოულოდნელად აყვავდა მაშინ!

ჰაერსაც ვაშლის სურნელი უდის,
ვაშლის სურნელი ავსებს გალიას!
ფიქრებში ცვივა ფოთლებიანად, –
ქალის – ვაშლია, ვაშლის – ქალია!..

* * *

„ნეტავი მოვკვდე შემოდგომაზე“
აშუგ ალესკერი

უჩუმრად მოვკვდი შემოდგომაზე,
სხვამ ზაფხულამდე იმხიარულოს.
მე მივიცვალე შემოდგომაზე,
ნუ, ნუ დამადგამთ ზედ მარმარილოს.

ეჰ, მესაფლავეც მოხუცი მერგო,
გადაუფრინა წერომ ტერასებს...
პოეტებმაღა უწყიან მხოლოდ,
მე გავიკვირტე სახრჩობელაზე.

გადამეწურა მკვდრეთით აღდგომის
იმედი. არ თქვა ბევრი უნდაო.
სახრჩობელაზე დამასკდა კვირტი,
ხალხს კი ეგონა, გაზაფხულდაო!..

* * *

ჩემგან საუკეთესო
საზი გამოითლება.
ის, რაც მგრძნობიარეა
კარგ მასალად ითვლება.

ტკივილსა ვგრძნობ საზივით,
გაგიმართლებთ იმედებს.
გამომთალეთ საზივით,
თუთის ხეს ნუ იმეტებთ.

ოსტატი თუ იმარჯვებს,
კარგი საზი ვიქნები.
გამომთალეთ, გამრანდეთ,
საზად გარდავიქმნები.

აზერბაიჯანულიდან თარგმნა
**იმირ მამედლიმ**

---



# სახელოვანი მწერლის ეროვნული შემოქმედება

**საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საქართველოს სახალხო მწერლის, ნოველისტის, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორის რევაზ მიშველაძის დაბადებიდან 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა.**




ღონისძიება, რომელსაც უნივერსიტეტის სამეცნიერო და აკადემიური წრეები, სტუდენტები, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი, პოეტები და მწერლები ესწრებოდნენ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა გახსნა. როგორც აკადემიკოსმა **დავით გურგენიძემ** განაცხადა, რევაზ მიშველაძემ, არაერთი გამორჩეული ნოველის ავტორმა და მრავალი პრესტიჟული ჯილდოს ლაურეატმა, თავის შემოქმედებაში ქართველი ერის სული და ეროვნული ღირსება ასახა. რექტორის თქმით, რევაზ მიშველაძე დღემდე აგრძელებს ლიტერატურულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

**– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გამოჩენილი მწერლის – რევაზ მიშველაძის დაბადების 85 წლის იუბილეს აღნიშნავს. ბატონი რევაზის პირადი ცხოვრება სავსეა დიდი ტკივილითა და გმირული თავგანწირვით. ჩვენ ქედს ვიხრით მისი ერთადერთი შვილის, არჩილ მიშველაძის ხსოვნის წინაშე, რომელიც გმირულად დაეცა საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში. ეს უმძიმესი ტვირთი ბატონმა რევაზმა ღირსებით ატარა, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს მის სულიერ ძლიერებას და ქვეყნისთვის თავგანწირვას. დღეს, 85 წლის ასაკშიც, ბატონი რევაზი აგრძელებს ქვეყნისთვის სამსახურს, ამჯერად მომავალი თაობის აღზრდით. ჩვენთვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის, უდიდესი პატივია, რომ ის ჩვენი პროფესორია. რევაზ მიშველაძე სტუდენტებს უზიარებს არა მხოლოდ ცოდნას, არამედ სულიერ სიმდიდრეს, აზიარებს მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობას** – აღნიშნა თავის გამოსვლაში **რექტორმა**.

საიუბილეო საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ უნივერსიტეტის სამეცნიერო და აკადემიური წრეების წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები, ხოლო სტუ-ის სტუდენტმა **შალვა ხუციშვილმა** რევაზ მიშველაძისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა. როგორც მან აღნიშნა, რევაზ მიშველაძე ახალ თაობებს თავისი სალექციო კურსითა და შემოქმედებით ასწავლის, რომ ცოდნა მხოლოდ ფაქტების თავმოყრა როდია, არამედ ცნობიერების გაღვიძება, რომ ლიტერატურა არა მხოლოდ ხელოვნებაა, არამედ მოწოდება, პასუხისმგებლობა და გზა ეროვნული თვითმყოფადობისკენ.

**– უდიდესი პატივითა და ემოციებით სავსე ვდგავართ თქვენ წინაშე დღეს, რათა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტების სახელით მოგილოცოთ ეს განსაკუთრებული დღე, ბატონო რევაზ, თქვენი სახელი ოქროს ასოებით არის ჩაწერილი არა მხოლოდ ქართული ლიტერატურის ისტორიაში, არამედ იმ თაობათა გონებაში, თქვენს შემოქმედებაზე რომ იზრდებოდა და ინსპირაციას იღებდა. თქვენ ტექსტებში ასახულია ერის ტკივილი, სიამაყე, ძლიერება, იმედი, რაც ქართველ ხალხს ყოველთვის თან სდევდა, მაგრამ თქვენი ღვაწლი მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოებებით როდი შემოიფარგლება. თქვენი ურყევი ერთგულება ქართული ენის, კულტურისა და ეროვნული ღირებულებების მიმართ განსაკუთრებით მნიშვნელოვნად აისახება ჩვენზე, თქვენი შემოქმედება გვახსენებს ფესვებიდან აღმოცენებული ცხოვრების ძალას, გისურვებთ ჯანმრთელობას, მრავალჟამიერ!** – აღნიშნა **შალვა ხუციშვილმა**.

ღონისძიებების დასასრულს, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე **მაყვალა გონაშვილმა** იუბილარს ილია ჭავჭავაძის ოქროს მედალი გადასცა, რომელიც შეემატა მწერლის სხვადასხვა დროს მიღებული შოთა რუსთაველის, სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, დავით კლდიაშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, მემედ აბაშიძის, ავეტიკ ისააკიანისა და სხვა პრემიებს; ღირსების ორდენს, ივანე ჯავახიშვილის მედალს, სტუ-ის ოქროს მედალს.

**ქართული კულტურის ამაგდარმა და პროზის რაინდმა რევაზ მიშველაძემ დამსწრეთ დიდი მადლობა გადაუხადა.**

**მირიან როხაძე**



# 7 ლელოთი „ედინბურგთან“!

**შოტლანდიურ ტურნეზე მყოფმა „შავმა ლომმა“ პირველი ამხანაგური თამაში „ედინბურგია“-სთან გამართა და 47:33 გაიმარჯვა.**

ქართველებმა მასპინძლებს 7 ლელო გაუტანეს და 6 გარდასახვა გამოიყენეს. ლელოები ბაჩუკი ჭუმბაძის, აკაკი ტაბუცაძის (2), ზაურ ლუტიძის, ირაკლი ქვათაძის, შალვა აფციაურის და ამირან შვანგირაძის ანგარიშზეა.

შეხვედრაში მონაწილეობა ტურნეზე მყოფმა 30-ივე მოთამაშემ მიიღო. მათგან 4-ს „შავ ლომში“ დებიუტი ჰქონდა. ესენი არიან: ზაურ ლუტიძე, თამაზ ჭამიაშვილი, გელა ხელაძე და ოთარ მეტრეველი, ხოლო გიორგი ბაბუნაშვილი გუნდს 2 წლის შემდეგ დაუბრუნდა.

შოტლანდიაში „შავი ლომი“ მეორე თამაშს 22 მაისს, „გლაზგო ვორიორზთან“ გამართავს.

### შავი ლომი

**ხაზი: 15. შალვა აფციაური, 14. აკაკი ტაბუცაძე, 13. დემურ თაფლაძე, 12. ზაურ ლუტიძე, 11. ალექსანდრე თოდუა, 10. ლუკა ცირეკიძე, 9. თენგიზ პერანიძე;**

**შერკინება: 1. ნიკოლოზ ხატიაშვილი, 2. ირაკლი ქვათაძე, 3. ბაჩუკი ჭუმბაძე, 4. მიხეილ ბაბუნაშვილი, 5. ვლადიმერ ჩაჩანიძე, 6. ლუკა ივანიშვილი (კაპ.), 7. გიორგი კერვალიშვილი, 8. გიორგი სინაურიძე.**

**მარქაფა: დათო აბდუშელიშვილი, ვასილ კაკოვინი, თენგიზ ზამთარაძე, შალვა მამუკაშვილი, თამაზ ჭამიაშვილი, კახაბერ დარბაიძე, დემურ ეფრემიძე, გიორგი ნიკოლაძე, გუგა ღანიაშვილი; ნოდარ დოლიძე, დავით ხუროშვილი, გიორგი ბაბუნაშვილი, გელა ხელაძე, ამირან შვანგირაძე, ოთარ მეტრეველი.**




# ეიფელიდან გადმოხედა

**როგორც საფრანგეთის დედაქალაქს შეეფერება, პარკ დე პრენსზე პომპეზურად აღინიშნა ლიგა – 1-ში პარი სენ-ჟერმენის მე-13 ტრიუმფი, საზეიმო განწყობის შექმნაში კი სოლიდური წვლილი დუბლის ავტორმა – ხვიჩა კვარაცხელიამ შეიტანა, რომელმაც ბოლო ტურის უმოტივაციო მატჩში ოსერს ორივე გოლი, პირველად ახალ კლუბში, მარჯვენათი გაუტანა, ერთხელ კი საჯარიმოდან ბურთი სტუმართა კარის ძელს მოახვედრა. ბუნებრივია, იგი შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა და სააგენტოებისგან უმაღლესი შეფასებებიც დაიმსახურა.**

აღსანიშნავია, რომ კვარა ისე ადვილად ჩაეწერა **ლუის ენრიკეს** შექმნილ ანსამბლში, რომ უკვე შეუცვლელად გახდა ძირითადი შემადგენლობის კოლორიტული წევრი, ეს კი 24 მაისს რეიმსთან საკუთარ სტადიონზე და, რაც მთავარია, 31 მაისს მიუნხენში, შესაბამისად, საფრანგეთის თასისა და ჩემპიონთა ლიგის ფინალური ბრძოლების წინ განსაკუთრებით გვახარებს.

დავძენთ, რომ ლიონი კონფერენსლიგის საგზურის მფლობელი გახდა (მიქაუტაძემ ბოლო 10 წუთში ითამაშა), ხოლო სენტ ეტიენი ელიტიდან გავარდა (დავითაშვილმა საგოლე პასი შეასრულა), სულ კი ქართულმა ტრიომ სეზონი 24 გოლით და 17 ასისტით დაასრულა.

# 10 წლის შემდეგ

**2015 წელს ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენამ“ ღირსეულად უმასპინძლა უეფას სუპერთასის ესპანურ გათამაშებას, რომლის ბედიც კატალონიელთა სასარგებლოდ პედროს გოლმა გადაწყვიტა – 5:4.**

გულშემატკივარს კარგად ემახსოვრება, რომ მაშინ ანდალუზიელებმა 1:4-ის შემდეგ გადაარჩინეს მატჩის ძირითადი დრო – 4:4, ხოლო მათი მრისხანე მეტოქის ლიდერმა – ლეო მესიმ 2 დიდოსტატურად შესრულებული საჯარიმოთი ჩაახვია ბურთი „სევილიას“ კარში.

და აი, 10 წლის შემდეგ, „ბარსელონა“, უკვე თმაშევერცხლილი, მაგრამ ისევ ვარსკვლავივით მოკაშკაშე ლეგენდებით კვლავ გვეწვია და დიდუბეში ვეტერანთა ტურნეს პოპულარული სერიის ეგიდით ქართველ თანატოლებთან მორიგი დაუვიწყარი სპექტაკლი დადგა, რომელსაც ორგანიზება შოთა არველაძემ გაუწია.



**„ჯეო“ 11“ – „ბარსელონას“ ლეგენდები 1:3**
**პირველი ტაიმი 1:1**

**გოლები:** ნავალოვსკი, სავიოლა (2), სორიანო.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ ტრადიციას საფუძველი იტალიურ გრანდებთან გამართული შოუებით ჩაეყარა, მაგრამ თუ ბათუმში ფიგუს **დუბლით** „ინტერის“ მოგებულ ბრძოლას – 2:0 ოფიციალური სახე მიეცა, თბილისში „მილანის“ წარმატებული ვიზიტი რატომღაც სათვალავში არ მიიღება. ასე რომ, **გიორგი ნავალოვსკის** ზუსტი თავური მარადიული ელიტის რანგში გატანილი პირველი ქართული გოლი გახლავთ. ბარემ აქვე დავძენთ, რომ ჩვეულად გაიბრწყინა 2005 წლის ოქროს ბურთის მფლობელმა **რონალდინიომ**, რომელმაც არაერთხელ მოსწყვიტა ტაში ტრიბუნებს როგორც ჟონგლიორობით, ისე ზუსტი გადაცემებით. მოკლედ, ბრაზილიელი პრიმა ასაკშიც ჯადოქრად რჩება.

და კიდევ: გაისად თვით „რეალის“ მოწვევა იგეგმება თურმე, ახლა კი სტუმარ-მასპინძლებს მოვუსმინოთ:

**ხავიერ სავიოლა** – ეს თამაში ისტორიას დარჩება და მჯერა, რომ აქ კიდევ ჩამოვალთ. ქართული ფეხბურთი ამჟამად მაღალ დონეზეა და მცირერიცხოვანი ქვეყნებისთვის შეიძლება ეს შთაგონების წყაროდ იქცეს. დიახ, თქვენი ნაკრები ვითარდება, სულ უფრო ხშირად აღწევს წარმატებებს, რაც ბავშვთა ფეხბურთში მოღვაწე პროფესიონალ მწვრთნელთა დამსახურებაა და მომავალში კიდევ ბევრჯერ ითამაშებთ დიდ ტურნირებზე.

რაც შეეხება თანამედროვე „ბარსელონას“, განსაკუთრებით იმას ვაფასებ, რომ გუნდში კლუბში აღზრდილი ახალგაზრდები წარმოადგენენ ბირთვს და ამ პროცესში მეც ვმონაწილეობდი. სხვათა შორის, არც იმას დავმალავ, რომ ვერ წარმოვიდგენდი, თუ იამალის სახით ასე მალე ვიპოვიდით მესის შემცვლელს.

**იარი ლიტმანენი** – „ბარსელონაში“ თამაში ჩემთვის ბევრს ნიშნავს, რადგან იგი გამორჩეული გუნდია. ერთ დროს მე და შოთა „აიაქსში“ პარტნიორები ვიყავით და მახარებს, რომ კვლავ ერთად ვართ. აქ 10 წლის წინათაც ვიყავი ფინეთის ნაკრების მაისურით, როცა 1:0 მოვიგეთ და თუ მაშინ დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდები ვიყავით, ამჯერად თქვენი პროგრესი თვალსაჩინოა. მართლაც, თუ ადრე შოთათი ამაყობდით, უკვე **ხვიჩა კვარაცხელია** გყავთ. ის ფაქტი, რომ ქართველი ტალანტი ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშებს, მისი სამშობლოსთვის ნამდვილი მოვლენაა.

**შოთა არველაძე** – მოედანზე გასვლისას ასაკიც გავიწყდება, ტკივილიც და წონაც. ასეთი მატჩები ბევრისთვის წარმოადგენს მოტივაციას. ცხადია, ძველ სისწრაფეებზე საუბარი ზედმეტია, მაგრამ სტადიონზე გულშემატკივარი მოდის და წაგება არავის სურს, თანაც საკუთარი კლასის დემონსტრირება ყოველთვის სასიამოვნოა. ასეთ შეხვედრებში საუცხოო განცდებია და ვერაფერს შევადარებ. როცა ბოლოს ამსტერდამში ვითამაშეთ, **იოჰან კრუიფის** არენა გადავსებული იყო და საოცარი ადრენალინი მოდიოდა ტრიბუნებიდან. მინდა მადლობა გადავუხადო ფეხბურთელებს, რომ დრო გამონახეს და სათამაშოდ აქ ჩამოვიდნენ.

**პახა პალაძე** – უპირველესად, მადლობა შოთას ამ მატჩის ორგანიზებისთვის. „ბარსელონას“ უამრავი ფანი ჰყავს და ასეთი გუნდის ჩამოსვლა ჩვენს დედაქალაქში ბევრ რამეზე მეტყველებს. რაც შეეხება **რონალდინიოს**, მასთან ერთად „მილანშიც“ მითამაშია და მახარებს ნაცნობი ბიჭების ნახვა.

# ვუერთგულოთ ტრადიციებს!




**ხელბურთის პელეს – ჯემალ ცერცვაძის სამშობლოში საბჭოთა პერიოდშიც ტარდებოდა პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე, სადაც წამყვანი ნაკრებები იკრიბებოდნენ და მათთან ბრძოლებში მასპინძლები არცთუ იშვიათად აღწევდნენ წარმატებებს.**

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და უკვე იმით გვიწევს გახარება, რომ **ტიტე კალანდაძის** გაწვრთნილი ჯვაროსნები ზედიზედ მეორედ გავიდნენ ევროპის ჩემპიონატზე, რომელსაც გაისად დანია, ნორვეგია და შვედეთი მიიღებენ.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მომავალი კონტინენტური ფორუმის წილისყრისას არ გაგვიმართლა, რადგან უძლიერეს **„E“ ჯგუფში** მოვხვდით შვედეთთან, ხორვატეთთან და ნიდერლანდებთან ერთად, მაგრამ წერილის დასაწყისში ნახსენები ტრადიციები გვავალდებულებს, რომ ყველას ღირსეულად გავუმკლავდეთ.

დავძენთ, რომ ჩვენი კვარტეტი იანვარში „მალმიო არენაზე“ ითამაშებს. ამასობაში ქართული სახელბურთო სეზონი **იმედო ფხაკაძის** სახელობის ეროვნული თასის გათამაშებით დასრულდა, რომლის ფინალშიც, ამასწინანდელი დიდი 10-ის სარაგბო ტურნირისა არ იყოს, ბათუმმა 25:18 სძლია ქუთაისს და პრესტიჟულ საშინაო ტიტულს მესამედ დაეუფლა.

# ბრინჯაოს წერტილი

**საქართველოს პარაძიუდოისტთა ნაკრებმა ისტორიული შედეგი აჩვენა და ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში დასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატის გუნდურ ტურნირში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.**

ჯვაროსნებმა მესამე ადგილისთვის გამართულ ბრძოლაში უზბეკები 4:1 დაამარცხეს. აღსანიშნავია, რომ ეს ჩვენებურთათვის უმაღლესი რანგის ფორუმზე დაკავებული პირველი გუნდური საპრიზო ადგილია.

გაეცანით ბრინჯაოს ნაკრების შემადგენლობას: **გიორგი ქალდანი, საბა ბაღდავაძე, რევაზ ჩიკოიძე, ბაჩუკი შელია, ზურაბ ზურაბიანი, გიორგი ბერიძე და გოგიტა ტერუნაშვილი.**

შეგახსენებთ, რომ ერთეულთა თანრიგში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს **გიორგი ქალდანი, საბა ბაღდავაძე და ზვიად გოგოჭური დაეუფლნენ, ხოლო ბრინჯაო რევაზ ჩიკოიძემ** და **ზურაბ ზურაბიანმა** დაიმსახურეს.



# „მითხარ, როგორაა მემლექეთი, ჩემი სანატრელი საქართველო“




**ასი წელი შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტის ფრიდონ ხალვაშის დაბადებიდან.**

დაიბადა 1925 წლის 17 მაისს, ქედის რაიონის სოფელ გეგელიძეებში; დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი; ლექსების პირველი კრებული 1948 წელს გამოსცა; იყო აჭარის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი (1995 – 1999 წ. წ.); მიენიჭა რუსთაველის პრემია; დაკრძალულია ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ეზოში.

**„ფრიდონ ხალვაშმა პირველივე ლექსებით დაიპყრო მკითხველთა გულები. ეს განაპირობა ფორმის სისადავემ, გულწრფელმა ინტონაციამ და განცდათა ბუნებრიობამ, რითაც პოეტი ქართული სულის ყველაზე მგრძნობიარე სიმებს შეეხო:**

**„მითხარ, როგორაა მემლექეთი, ჩემი სანატრელი საქართველო, რამე იმნაირი გამაგონე, გული დაკოდილი გავამრთელო“,**

**„მეც მინდა, ვიყო შენი პოეტი, მე არ ვიქნები შენი სტუმარი“** – უთხრა ახალგაზრდა კაცმა თბილისს და იმთავითვე იქცა არა მხოლოდ თბილისის, სრულიად საქართველოს პოეტად.

ღრმად სიმბოლურია, რომ ყოველ 17 მაისს, ბათუმის ღვთისმშობლის ტაძრის ეზოში იწყება სახალხო ზეიმი „ფრიდონობა“, რომელიც პოეტის მშობლიურ სოფელში გრძელდება და რომელშიც ყველა კუთხიდან ჩასული ქართველობა მონაწილეობს. და იქ არც პოეტია სტუმარი, არც თბილისი და არც საქართველო. საქართველოს კულტურის სამინისტრო პატივს **მიაგებს ფრიდონ ხალვაშის ღვაწლსა და ხსოვნას.**

# პოლონეთში ქართული მაფიის შვიდი წევრი დააკავეს!



**ვარშავის პოლიციამ იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შენახვაში ეჭვმიტანილი შვიდი საქართველოს მოქალაქე დაადანაშაულა.**

ვარშავიდან აღმოსავლეთით 21 კილომეტრში მდებარე სოფელ ნოვი კონიკში ჩატარებული რეიდის დროს მათ ცეცხლსასროლი იარაღი, ვაზნები, მოპარული საქონელი და ყალბი დოკუმენტები ამოიღეს.

**„დაკავებულები არ არიან ბანდიტები. ისინი არ არიან ჩვეულებრივი ქურდები ან ყაჩაღები. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც მაფიის იერარქიაში ძალიან მაღალი თანამდებობის პირები არიან“,** – განაცხადა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა. დაკავებულებს შორის იყო ერთ-ერთი ძებნილი ქართველი დამნაშავე, რომელსაც აქვს ე.წ. „კანონიერი ქურდის“ წოდება, რაც პოსტსაბჭოთა მაფიის იერარქიაში მაღალი სტატუსის მქონე ლიდერებისთვისაა განკუთვნილი.

**„კანონიერი ქურდი“ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ნომენკლატურაში დამნაშავეთა შორის პრინცია, რომელიც მხოლოდ შესაბამისი რიტუალების დასრულების შემდეგ შეიძლება აღიარებულ იქნას, როგორც პიროვნება, რომელიც მკაცრად იცავს დაუწერელი კოდექსის წესებს და წარმოადგენს სხვა დამნაშავეებისთვის ავტორიტეტს“,** – განაცხადა ვარშავის რაიონული პროკურატურის წარმომადგენელმა.

# დარგვის აქცია ტაძრის ეზოში



**საპატრიარქოს ფონდის „გაამწვანე საქართველო“ ინიციატივით და ეროვნული სატყეო სააგენტოს მხარდაჭერით, წმ. სპირიდონ ტრიმიფუნტელის სახელობის ტაძრის ეზოში სასულიერო და საერო პირებმა 30-მდე ზეთისხილის ხე დარგეს, –** ინფორმაციას ფონდი „გაამწვანე საქართველო“ ავრცელებს.

ფონდი „გაამწვანე საქართველო“ 2013 წელს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა. ეროვნული სატყეო სააგენტო ფონდთან წლებია თანამშრომლობს. ერთობლივი პროექტები მომავალშიც აქტიურად განხორციელდება.

# ევროვიზია 2025-ის გამარჯვებული ავსტრია გახდა




**ევროვიზიის სიმღერის კონკურსის გამარჯვებული ავსტრიის წარმომადგენელი, 25 წლის JJ გახდა, სიმღერით Wasted Love. მან 436 ქულა მიიღო. შესაბამისად, ევროვიზიის მომავალი მასპინძელი ქვეყანა ავსტრია იქნება.**

საქართველოდან ჟიურის ყველაზე მაღალი შეფასება – 12 ქულა იტალიას ერგო. **ევროვიზია 2025-ის ფინალში 26 ქვეყანა წარდგა: ნორვეგია, ლუქსემბურგი, ესტონეთი, ისრაელი, ლიეტუვა, ესპანეთი, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, ისლანდია, ლატვია, ნიდერლანდები, ფინეთი, იტალია, პოლონეთი, გერმანია, საბერძნეთი, სომხეთი, შვეიცარია, მალტა, პორტუგალია, დანია, შვედეთი, საფრანგეთი, სან მარინო და ალბანეთი.**

**საქართველოს ევროვიზია 2025-ზე მარიამ შენგელია, სიმღერით Freedom წარადგენდა.**

69-ე ევროვიზიას შვეიცარიის ქალაქი ბაზელი მასპინძლობდა. ევროვიზიის სიმღერის კონკურსის პირდაპირი ტრანსლაცია მაყურებელს საქართველოს პირველმა არხმა შესთავაზა.

# „ქურდული გარჩევებისთვის“ კანონიერი ქურდები და მათთან დაახლოებული 8 პირი დააკავეს

**ოთხი ე.წ. კანონიერი ქურდი და შავ სამყაროსთან დაახლოებული 8 პირი, აქედან 10 უშუალოდ მონაწილეობდა საქმის გარჩევაში, ორი კრიმინალური ავტორიტეტის სახელი კი მეტი დამაჯერებლობისთვის გამოიყენეს.**

საუბარია ათიათასობით დოლარზე, რომელსაც ქურდების დავალებით შავი სამყაროს წარმომადგენლები დაზარალებულებს ან პირდაპირ სძალავდნენ ან მოქალაქეებს შორის არსებული ფინანსური დავების მოგვარებისთვის ითხოვდნენ. **სხვისი ავტომობილი გაყიდეს, ფული აიღეს, თუმცა მფლობელს დამატებით თანხის გადახდას მაინც აიძულებდნენ – დანაშაულებრივ სქემაში „კანონიერი“ ქურდები, ე.წ. ქურდული სამყაროს წევრები და მხარდამჭერები მონაწილეობდნენ.**



ფარული ჩანაწერები ქურდული სამყაროს წინააღმდეგ მიმდინარე საქმის ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულებაა. სატელეფონო საუბრების მიხედვით, საზღვარგარეთ მყოფი ე.წ. კანონიერი ქურდები, მანუჩარ გასვიანი და ბაჩანა ნადარეიშვილი, მეტსახელად ბაჩო ტბილისსკი, საქართველოში მყოფ თანამოაზრეებს, კრიმინალური მეთოდებით, ფინანსური დავების გადაწყვეტაში ეხმარებოდნენ. სანაცვლოდ თავადაც წილს ითხოვდნენ. ფარული მასალა ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტებსაც ადასტურებს.

**ჯგუფის წევრებმა 5 ე.წ. ქურდული შეკრების ორგანიზება მოაწყვეს. სამართალდამცველებმა დანაშაულებრივი სქემა მალევე გაშიფრეს და 8 პირი დააკავეს. ბრალი დაუსწრებლად წარედგინა სამს, მათ შორის, „კანონიერ“ ქურდებს – ბაჩანა ნადარეიშვილს და მანუჩარ გასვიანს.**

წარდგენილი ბრალი 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ადვოკატების ინფორმაციით, არცერთი მათგანი დანაშაულს არ აღიარებს.

# 27 დოლარად ნაყიდი „თავისუფლების დიდი ქარტიის“ ასლი ორიგინალი აღმოჩნდა

**ბრიტანელმა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ ხელნაწერი, რომელსაც 80 წლის განმავლობაში „თავისუფლების დიდი ქარტიის“ ასლად მიიჩნევდნენ, დოკუმენტის ორიგინალი აღმოჩნდა.**

BBC-ს ცნობით, ახლა მას მსოფლიოში „ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას დოკუმენტს“ უწოდებენ.

1946 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტის (აშშ) იურიდიულმა ფაკულტეტმა „თავისუფლების დიდი ქარტიის“ „ასლი“ სულ რაღაც 27 დოლარად შეიძინა. დიდი ხნის განმავლობაში დოკუმენტი ბიბლიოთეკაში ინახებოდა, მისი ნამდვილი წარმომავლობა კი უცნობი იყო. შემდეგ მას ლონდონის სამეფო კოლეჯის შუა საუკუნეების ისტორიის პროფესორი დევიდ კარპენტერი გადააწყდა და მიხვდა, რომ ეს დოკუმენტის ძალიან იშვიათი, ორიგინალია, რომლის ფასიც დღეს მილიონობით დოლარს შეადგენს.

**„ეს ფანტასტიკური აღმოჩენაა. გაოგნებული ვიყავი არა მხოლოდ იმით, რომ დოკუმენტის ორიგინალი აღმოვაჩინე, არამედ იმითაც, რომ ჰარვარდის უნივერსიტეტში, როგორც ჩანს, წარმოდგენაც არ ჰქონდათ რა ინახებოდა მათთან“,** – განაცხადა კარპენტერმა.

კარპენტერმა და მისმა კოლეგებმა რამდენიმე ტესტი ჩაატარეს და დოკუმენტის ავთენტურობა დაადასტურეს.



**„თავისუფლების დიდი ქარტია“ პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტია, რომელიც ინგლისის მეფე ჯონმა 1215 წელს გამოსცა. ქარტიაში დადგენილია პრინციპი, რომ მეფე და მთავრობა კანონზე მაღლა არ დგანან. ეს დოკუმენტი საკვანძო ნაბიჯად ითვლება ადამიანის უფლებების განვითარებაში რეპრესიული მმართველების წინააღმდეგ და დიდი გავლენა იქონია მთელს მსოფლიოში კონსტიტუციების შემუშავებებზე.**

სულ 1215-1399 წლებში დოკუმენტის 200 ორიგინალი ასლი შეიქმნა. დღეს მხოლოდ 25 მათგანია შემონახული. მეცნიერების თქმით, ჰარვარდში ნაპოვნი დოკუმენტი 1300 წელს, მეფე ედვარდ პირველის მმართველობის დროს დაიწერა.

# საბაჟო გამშვები პუნქტის მებაჟე ოფიცრებმა 56 კუ და 13 თუთიყუში „ემიგრაციას“ გადაარჩინეს!

**ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის „ყაზბეგის“ საბაჟო გამშვებ პუნქტში, მებაჟე ოფიცრებმა ეჭვის საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქის მართვის ქვეშ არსებული სატვირთო ავტომობილის დეტალური დათვალიერების შედეგად, მისაბმელსა და სალონში მოწყობილ სათავსოებში, მალულად განთავსებული, „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი 56 ცალი ცოცხალი კუ და 13 თუთიყუში აღმოაჩინეს,** – ამის შესახებ ინფორმაციას, შემოსავლების სამსახური ავრცელებს.




მათივე ცნობით, არადეკლარირებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ ჯამში 11 000 ლარი შეადგინა. საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის შესაბამისად, სამართალდამრღვევი პირი დაჯარიმდა საქონლის საბაჟო ღირებულების 100 % ოდენობით – 11 000 ლარით. ამასთან უცხო ქვეყნის მოქალაქეს სანქციის სახით, ჩამოერთვა აღნიშნული საქონელი და საჩუქრად თბილისის ზოოპარკს გადაეცა.

# მადლობა სიღნაღის მერიას!

მიმდინარე წლის პირველ მაისს ქალაქ სიღნაღში ხელი მოეწერა მემორანდუმს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიასა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას შორის.

მემორანდუმს ხელს აწერენ სიღნაღის მერი, ბატონი მალხაზ გეგიაშვილი და კონსერვატორიის რექტორი, ბატონი გიორგი ვაჩნაძე.

მემორანდუმი ეხება დიდი ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონკურს-ფესტივალის ჩატარებას 2026 წელს. ამ ღონისძიებას, ბუნებრივია, კულტურის სამინისტროც სიამოვნებით დაუჭერს მხარს.

მემორანდუმზე ხელის მოწერის ცერემონიამ საზეიმო ვითარებაში ჩაიარა. ქალაქის ცენტრალურ უბანში, პარკში გამოფენილი იყო






ვანო სარაჯიშვილის პორტრეტები, სასიამოვნოდ ჟღერდა მისი სიმღერები. სიღნაღელებს აჩვენეს მომღერალზე შექმნილი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი – „ტკბილ ჰანგთა მეფე“. ლამაზად და ამაყად გამოიყურებოდა რესტავრირებული ვანო სარაჯიშვილის ძეგლი. სიღნაღის მერიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ნამდვილად არ დააკლეს მცდელობა, ღირსეულად აღნიშნულიყო დიდი ვანო სარაჯიშვილის დაბადებიდან 146-ე წელი.

გულწრფელი მადლობა სიღნაღის მერიას და ჩემს საყვარელ სიღნაღელებს!

**გელა ქოქიაშვილი**

# ნუგზარ ზარანდიას შემოქმედებითი საღამო, ფოლკლორის ცენტრში

**ფოლკლორის ცენტრის საკონცერტო დარბაზში ნუგზარ ზარანდიას შემოქმედებითი საღამო გაიმართა.**

ფოლკლორის ცენტრის ინფორმაციით, ლოტბარი, მომღერალი, პედაგოგი, ხოზის საპატიო მოქალაქე ნუგზარ ზარანდია 50 წელია ემსახურება ქართული ხალხური, კონკრეტულად, მეგრული სიმღერის შენარჩუნება-განვითარების, დაცვის, მოვლა-პატრონობისა და პოპულარიზაციის საქმეს.

საღამოზე შესრულდა ცნობილი მეგრული ფოლკლორული სიმღერები. აფხაზური შეასრულეს ანსამბლ „დიდგორის“ წევრებმა, ფოლკლორის ცენტრის გუნდმა წარმოადგინა სვანური „ჭგრააგ“ და „ელესა“. სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა და კურსდამთავრებულებმა შეასრულეს „მალანური“, რომელიც სამეგრელოში ექსპედიციისას თავად ნუგზარ ზარანდიასგან შეისწავლეს.

საღამო საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით და ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით გაიმართა.






# ჭკუასლების დიდი ბენეფისი ოზურგეთში

**გუშინ, საღამოს, ოზურგეთის თეატრალურ მოედანზე, ჯემალ ჭკუასელის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ანსამბლ „ერისიონის“ კონცერტი გაიმართა.“**

**მაყურებელმა იხილა დიდი შოუ-პროგრამა – „ქართული საგანძური“.**

მაყურებელმა ნახა სამხატვრო ხელმძღვანელის შერმადინ ჭკუასელისა და მთავარი ქორეოგრაფის – ეკა ჭკუასელის მიერ დადგმული შოუ-პროგრამა.

კონცერტის დასრულების შემდეგ, ოზურგეთის მერიის ხელშეწყობით, სკოლებში ბოლო ზართან დაკავშირებული ღონისძიებები გაიმართა.

# ახალციხეში „ტურისტული სეზონი 2025“ გაიხსნა

**ახალციხის ციხეზე ტურისტული სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. საზეიმო საღამო ახალციხის მუნიციპალიტეტის მერმა ირაკლი ლაზარაშვილმა გახსნა.**

ახალციხელებს და ქალაქის სტუმრებს სიტყვით მიმართეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა **ზაალ გელაშვილმა,** „ახალციხის ციხის“ დირექტორმა **ზაზა თამარაშვილმა,** „სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ ხელმძღვანელმა **დავით მუმლაძემ,** „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ ხელმძღვანელმა **ეკატერინე ორჯონიკიძემ,** ასევე სასტუმრო „ჯინო ველნეს რაბათის“ მენეჯერმა **შალვა ოთანაძემ**.

აქცენტი გაკეთდა ახალციხის მუნიციპალიტეტისა და მთლიანად რეგიონის მდიდარ ტურისტულ პოტენციალზე და რესურსებზე, მთავრობის მხრიდან ქვეყნის მასშტაბით ტურიზმის ხელშეწყობასა და მხარდამჭერ პროგრამებზე, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

**გასულ წელს „ახალციხის ციხეს“ 128 000 ვიზიტორი სტუმრობდა, რაც წინა წელთან შედარებით 13 % -ით მეტია. საზეიმო საღამო კონცერტით გაგრძელდა, ახალციხელების წინაშე მომღერალი ზუკა ხუციშვილი და ბენდი წარდგნენ.**



# გელა ბაბლუანი სტალინზე ფილმს გადაიღებს...



გელა ბაბლუანი სტალინზე ფილმს გადაიღებს, სადაც ახალგაზრდა სტალინის როლს კოსმო ჯარვისი შეასრულებს

**გელა ბაბლუანი გადაიღებს ფილმს „ახალგაზრდა სტალინი“, სადაც იოსებ სტალინის როლს ბრიტანელი მსახიობი კოსმო ჯარვისი შეასრულებს.**

Variety-ს ინფორმაციით, ფილმი ინგლისელი მწერლისა და ისტორიკოსის საიმონ სებაგ-მონტეფიორეს ამავე სახელწოდების წიგნზე იქნება დაფუძნებული. სურათის რეჟისორი გელა ბაბლუანია. მონტეფიორესთან ერთად ის სცენარის თანაავტორიცაა.

ფილმი სტალინის ახალგაზრდა წლებზე მოგვითხრობს, კერძოდ რევოლუციამდელ რუსეთში ბანკების ძარცვაში მის მონაწილეობაზე. პროექტს კომპანია Access Entertainment-ი აფინანსებს. პრემიერის თარიღი ამ ეტაპზე არ დასახელებულა.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოტანილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 21 მაისს**